# სპორტი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 20 ოქტომბერი 2004 №244 (2265) ფასი 50 თეთრი




REUTERS ლევერკუზენიდან

„ლევერკუზენთან“ დამარცხებული ორი რომაელი: გახელებული ლუიჯი დელ ნერი და გაშიშვლებული ფრანჩესკო ტოტი

# MAMMA ROMA

## იუვენტუსმა ბაიერნი გაიცნო 1:0

UEFA CHAMPIONS LEAGUE

REUTERS ტურინიდან

„იუვენტუსი“ — „ბაიერნი“: დიდთა პირველმა, ისტორიულმა შეყრამ პაველ ნედვედის ერთი გოლი იკმარა

# ეგეთები არ იყოს, ბილეთები იყოს!

დღეს თბილისში ფრანგული „სოშო“ ჩამოდის, თბილისის „დინამოს“ ხვალინდელი მეტოქე უეფას თასის ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში. „სოშო“ საავტომობილო კონცერნ „პეჟოს“ გუნდია და ხვალ გამოჩნდება, თავის ნებაზე აგელვებენ თუ არა დინამოელები პეჟოებს. ჩვენებს საქმე იმანაც უნდა გაუადვილოს, რომ „სოშოს“ არ ეყოლება გუნდის საუკეთესო ფეხბურთელი დუშ სანტუში. თამაში „ლოკომოტივის“ სტადიონზეა და „დინამომ“ გუშინაც ივარჯიშა განათებულზე, გულშემატკივარი კი მატჩის ორგანიზატორებმა აბურთავეს — ბილეთები მხოლოდ ეროვნული სტადიონის სალაროებში გაიყიდა, თანაც ხუთლარიანი ბილეთები თვალსა და ხელს შუა გააქრეს...

გაფდარი ეკონომიკის ფოტო

„სოშო“ თბილისში დუშ სანტუშს ვერ ჩამოიყვანს

# ზოგან თექვსმეტი უკვე გამოჩნდა

**ჩემპიონთა** ლიგის ბოლო გათამაშების ფინალისტმა, „მონაკომ“ წუხელ მეორე ეტაპის თექვსმეტ გუნდში მოსახვედრად სერიოზული ნაბიჯი გადადგა — პირეოსის „ოლიმპიაკოსს“ 2:1 მოუგო. საინტერესო ის გახლდათ, რომ მასპინძლები უკვე მე-10 წუთისთვის 2:0-ს იგებდნენ. გოლები სამხრეთ ამერიკელებმა, ხავიერ სავიოლამ და ერნესტო ჩევანტონმა გაიტანეს. ბერძნების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შეხვედრის დასაწყისშივე თავს დატეხილი ასეთი უსიამოვნების მიუხედავად, გული არ აცრუებიათ და იოანის ოკასმა ახლოდან ერთი გოლის გაქვითვა შეძლო.

ამავე A ჯგუფში „ლივერპულმა“ „ენფილდ როუდზე“ „დეპორტივო ლა კორუნიას“ უმასპინძლა. მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრა საკმაოდ ცოცხალი გამოვიდა, გოლი ვერც ერთმა მხარემ ვერ გაიტანა. მე-15 წუთზე წარმატებასთან ახლოს იყოს მარტინ სესარი, რომელმაც ლუკეს მიერ კუთხურიდან ჩაწოდებულ ბურთს თავი დაარტყა და მასპინძელთა მეკარეს, კრის კირკლანდს თითქოს აჯობა კიდეც, მაგრამ იონ არნე რიისემ ბურთი კარის ხაზიდან გმოიტანა. ლივერპულელთა მხრივ კარგი მომენტი 28-ე წუთზე მილან ბაროშს ჰქონდა, რომელმაც სტუმრების დაცვა ჩამოიტოვა, მეკარე ხოსე მოლინას შემოურბინა, მაგრამ როდესაც გოლის შესაგდებად ფეხი აღმართა, მანუელ პაბლომ ბურთი ააცალა.

B ჯგუფში „რეალმა“ კიევის „დინამოს“ მოუგო. ამ შეხვედრაში უპირველეს და უმთავრეს ყოვლისა იმის აღნიშვნა გვსურს, რომ მადრიდელთაგან გოლი ინგლისელმა ახალწვეულმა მაიკლ ოუენმა გაიტანა, ხოლო ჯგუფის მეორე მატჩში „ლევერკუზენმა“ „რომას“ უმასპინძლა და 3:1 მოუგო. აღსანიშნავია, რომ იტალიელებმა თამაში ცხრა კაცით დაასრულეს, რადგან მსაჯმა საფინალო სასტვენამდე 29 წუთით ადრე კრისტიან პანუჩი, ხოლო სამი წუთით ადრე დანიელე დე როსი გააძევა მოედნიდან. ამ დამარცხებით დასრულდა „რომას“ ყოველგვარი იმედი. დარჩენილ სამ შეხვედრას ლუიჯი დელ ნერის ქვეშევრდომები მხოლოდ ოქმის და შესაძლოა, ჯიბის შესავსებად ჩაატარებენ.

C ჯგუფში „იუვენტუსმა“ ულამაზო, მძიმე მატჩში მოუგო „ბაიერს“ 1:0 და მეორე ეტაპზე გამსვლელ 16 გუნდს შორის ერთი ადგილი ჯერ თუ არ მოუპოვებია, ნაღდად დაიჯავშნა. შეხვედრის ერთადერი გოლი 76-ე წუთზე პაველ ნედვედმა გაიტანა. რამდენიმე სახიფათო მომენტი ორივე კართან შეიქმნა, ხოლო ტრავმის გამო ერთი ხნის უთამაშებელმა ალესანდრო დელ პიერომ შთაბეჭდილება ვერ მოახდინა და მეორე ტაიმში შეცვალეს. აქვე გავიხსენოთ, რომ ტურინული მატჩი ამ გუნდების პირველი შეხვედრა იყო ევროსარბიელზე.

ამავე ჯგუფში „აიაქსმა“ თელ ავივის „მაკაბის“ 3:0 მოუგო, ამ შეხვედრაზე უფრო დაწვრილებით შეჩერებას ვფიქრობთ დიდი აზრი არ უნდა ჰქონდეს, რადგან მასში დრამატული და ამაღელვებული არაფერი მომხდარა. ერთადერთი სათქმელი წესით ის უნდა იყოს, რომ ამსტერდამელებმა ამ გამარჯვებით ჩემპიონთა ლიგაში ზედიზედ ხუთი წაგების ჯაჭვი გაწყვიტეს.

ხოლო D ჯგუფში „მანჩესტერ იუნაიტედი“ პრაღაში „სპარტასთან“ 0:0 დაზავდა. ჩეხებს შესვენებამდე ორი მომენტი ჰქონდათ — ერთი ყოფილ იუნაიტედელ კარელ პობორსკის, ხოლო მეორე მცველ ირჟი ჰომოლას — ხოლო შესვენების შემდეგ ერთი: ლუკას ზელენკას თავური მეკარე როი კეროლმა მოიგერია. ხოლო „ფენერბაჰჩემ“ შინ, სტამბოლში წააგო „ლიონთან“ 1:3.

**პაპუნა კეკდია**



მაიკლ ოუენმა პირველი რეალური გოლი ალექსანდრ შოგკოვსკის გაუტანა

REUTERS მადრიდიდან

## ინგლისი

**ჩემპიონატი. XIV ტური**

ბრაიტონი 1:1 კარდიფი
ბარნლი 2:2 ქოვენთრი
ლესტერი 2:2 იფსვიჩი
მილუოლი 2:1 ჯილინგემი
პრესტონი 2:1 ქუინზ პარკი
როთერჰემი 0:1 პლიმუთი
შეფილდ იუნ. 1:1 ნოტინგემი
უოტფორდი 1:1 სანდერლენდი
ვესტ ჰემი 2:0 სტოკი
ვულვერჰემპტონი 2:0 დერბი ქაუნთი
უიგანი 4:1 ქრიუ
რედინგი 1:1 ლიდსი

**I ლიგა. XIV ტური**

ბრედფორდი 2:1 ბლეკპული
ბრენტფორდი 2:1 ჰარტლპული
კოლჩესტერი 1:2 რეიდსემი
ჰადერსფილდი 1:3 ტრანმერი
ოლდემი 0:0 ბრისტოლი
პიტერბრო 1:1 შეფილდ უენსდი
პორტ ვეილი 1:0 სუინდონი
ტორკი 1:2 ბორნმუთი
უოლსოლი 2:0 ლუტონი

**II ლიგა. XIV ტური**

სკანთორპი 3:2 საუთენდი
როთერსი 2:2 იოვილი
ბერი 1:1 ბოსტონი
ჩელტენჰემი 2:0 ფენსფილდი
ლინკოლნი 1:1 როჩდეილი
მაკლსფილდი 1:1 კემბრიჯი
ნორთჰემპტონი 1:0 ოქსფორდი
ნოტსი 1:1 დარლინგტონი
შრიუსბერი 1:1 გრიმსბი
სუონსი 1:0 ლეიტონი
უიკომბი 1:1 რაშდენი

## ავსტრია

**I დივიზიონი. გადადებული მატჩი**

ლინცერი 3:2 ალტახი

## სლოვაკეთი

**თასის პირველი ეტაპი**

ლიხატვორცე 2:1 რუძომბეროკი
სოკოტა 1:1(დ.დ.პენ.4:2, 1:1) პუხოვი

## ხორვატია

**თასის პირველი ეტაპი**

დინამო 3:2 ბელიშევ

## ირლანდია

**პრემიერლიგა. გადადებული მატჩი**

ლონგფორდი 0:2 კორკ სიტი

## უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა. გადადებული მატჩი**

დიოშდიორი 2:1 ზალაეგერსეგი

## ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

CHAMPIONS LEAGUE

**ჯგუფური ეტაპი. I ტურის შედეგები**

### A ჯგუფი

**ლივერპული 0:0 დეპორტივო**

**ლივერპული:** კირკლანდი, ხოსემი, კარაგერი, ჰიიპია, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია (სინამა-პონგოლე 84), ხაბი ალონსო, ჰამანი, რიისე (კიუელი 66), ბაროში, ჯ. სისე (ფინანი 77)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**დეპორტივო:** მოლინა, მანუელ პაბლო, ფორტე ანდრადე, მ. სესარი, კაპდევილა, ვიქტორი, მაურო სილვა (სკალონი 59), დუშერი, ვალერონი (ფრანი 87), პანდიანი (რომერო 82), ლუკე
**მწვრთნელი:** ხავიერ ირურეტა
**გაფრთხილება:** ლუკე, ჰამანი, ფორტე ანდრადე, დუშერი, ბაროში, ვიქტორი
**მსაჯი:** ანდერს ფრისკი (შვედეთი)
40 236 მაყურებელი

**მონაკო 2:1 ოლიმპიაკოსი**

1:0 სავიოლა (2), 2:0 ჩევანტონი (10), 2:1 ოკასი (60)
**მონაკო:** რომა, მაიკონი, სკილაჩი, როდრიგესი, ევრა, ზიკოსი, ბერნარდი (ფარნერუდი 79), კალონი, ჩევანტონი (დ. პერესი 53), ადებაიორი, სავიოლა (პლასილი 75)
**მწვრთნელი:** დიდიე დეშანი
**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, ვენეტიდისი, მავროგენიდისი, ანატოლაკისი, შურერი, კაფესი (კასტილიო 76), სტოლტიდისი, გეორგატოსი (მარიჩი 46), ჯოვანი (გეორგიადისი 58), რივალდო, ოკასი
**მწვრთნელი:** დუშან ბაევიჩი
**გაფრთხილება:** ბერნარდი, ვენეტიდისი, ანატოლაკისი
**მსაჯი:** იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
16 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მონაკო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| ლივერპული | 3 | 1 | 1 | 1 | 2:1 | 4 |
| დეპორტივო | 3 | 0 | 2 | 1 | 0:2 | 2 |

**IV ტური: 3 ნოემბერი**
**ოლიმპიაკოსი — მონაკო**
**დეპორტივო — ლივერპული**

### B ჯგუფი

**ლევერკუზენი 3:1 რომა**

0:1 ბერბატოვი (26ს.კ.), 1:1 როკე ფუნიორი (48), 2:1 კრეინოვეკი (59), 3:1 ფრანცა (90)
**ლევერკუზენი:** ბუტი, ფუანი, ნოვოტნი, როკე ფუნიორი, პლასენტე, შნაიდერი, რამელო (ფრანცა 46), პონტე (ბალიტჩი 90), ჯონსი (ფრაიერი 67), კრეინოვეკი, ბერბატოვი
**მწვრთნელი:** კლაუს აუგენტალერი
**რომა:** ძოტი, პანუჩი, ფერარი, სკურტო, კუფრე, მანსინი (სარტორი 67), დე როსი, პეროტა (მიდო 73), ტოტი, კასანო, მონტელა (აკილანი 50)
**მწვრთნელი:** ლუიჯი დელ ნერი
**გაფრთხილება:** პეროტა, პონტე, შნაიდერი, ძოტი, მანსინი, აკილანი, ფრაიერი
**გაძევება:** პანუჩი (61), დე როსი (87)
**მსაჯი:** ერიკ პულა (საფრანგეთი)
22 500 მაყურებელი

**რეალი 1:0 დინამო**

1:0 ოუენი (35)
**რეალი:** კასილიასი, სალგადო, ელგერა, პავონი, რობერტო კარლოსი, ფიგუ (სოლარი 29), გუტი, ზიდანი, რაული, ოუენი (სელადესი 67), რონალდო (მორიენტესი 80)
**მწვრთნელი:** მარიანო გარსია რემონი
**დინამო:** შოვკოვსკი, გიოანე (პეევი 87), საბლიჩი, გავრანჩიჩი, როდოლფო, ელ კადური, ო. გუსეევი (ჩერნატი 64), იუსუფი, რინკონი (ბელკევიჩი 76), შაცკიხი, კლებერი
**მწვრთნელი:** იოფეფ საბო
**მსაჯი:** ფილ ვესეე (საფრანგეთი)
60 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:5 | 6 |
| დინამო | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| რეალი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:5 | 6 |
| რომა | 3 | 0 | 0 | 3 | 3:10 | 0 |

**IV ტური: 3 ნოემბერი**
**დინამო — რეალი**
**რომა — ლევერკუზენი**

### C ჯგუფი

**აიაქსი 3:0 მაკაბი**

1:0 სონკი (4), 2:0 დე იონგი (21), 3:0 ვან დერ ვაარტი (33)
*სნეიდერმა ვერ გაიტანა პენალტი (88, აცილა)*
**აიაქსი:** ლობონტი, ტრაბელსი, ჰეიტინგა, ნ. დე იონგი, მაქსველი, პიენაარი, ობოდაი, სნეიდერი, ვან დერ ვაარტი (აბორა 71), სონკი (დე რიდერი 74), მიტია (ბუხარი 60)
**მწვრთნელი:** რონალდ კუმანი
**მაკაბი:** შტრაუბერი, პანციილი, ჯოვანინი, სტროოლი, ნაგარი, ლ. კოენი (ბუფელდი 84), მიშაელოფი (ზიტუნი 46), რეისი, ტ. კოენი, ი. ადო, მბამბა (მესიკა 46)
**მწვრთნელი:** ნირ კლინგერი
**გაფრთხილება:** სტროოლი, ჯოვანინი
**მსაჯი:** ედუარდო იტურალდე გონსალესი (ესპანეთი)
48 161 მაყურებელი

**იუვენტუსი 1:0 ბაიერნი**

1:0 ნედვედი (76)
**იუვენტუსი:** ბუფონი, ძებინა, ტურამი, კანავარო, ძამბროტა, ვამორანეზი, ემერსონი, ბლაზი, ნედვედი, დელ პიერო (ზალაიეტა 60), იბრაჰიმოვიჩი
**მწვრთნელი:** ფაბიო კაპელო
**ბაიერნი:** კანი, კუფური (ჰაშემიანი 80), ლუსიო, ლინკე, სალიჰამიჯიჩი, შვაინსტაიგერი, სანიოლი, ფრინგსი (დემიკელისი 86), ბალაკი, ზე რობერტო, მაკაი
**მწვრთნელი:** ფელიქს მაგათი
**გაფრთხილება:** ძებინა, ზე რობერტო
**მსაჯი:** მანუელ მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)
18 089 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 3 | 3 | 0 | 0 | 3:0 | 9 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:1 | 6 |
| აიაქსი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| მაკაბი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:5 | 0 |

**IV ტური: 3 ნოემბერი**
**ბაიერნი — იუვენტუსი**
**მაკაბი — აიაქსი**

### D ჯგუფი

**ფენერბაჰჩე 1:3 ლიონი**

0:1 ფუნინიო პერნამბუკანო (55), 0:2 კრისი (66), 1:2 ნობრე (68), 1:3 ფრო (87)
**ფენერბაჰჩე:** რუშთუ, სერქანი, სერვეთი, ფაბიო ლუსიანო, უმით ოზატი, დენიზი (მეჰმეთი 46), ალექსი, მარკო აურელიო, თუნჯაი, ვან ჰოიდონკი, ნობრე
**მწვრთნელი:** კრისტოფ დაუმი
**ლიონი:** კუპე, რეველიერი, კასაპა, კრისი, აბიდალი, ესიენი, მ. დიარა, ფუნინიო პერნამბუკანო (ლ. დიატა 79), გოვუ (ფრო 85), მალუდა, ვილტორდი (ნილმარი 90)
**მწვრთნელი:** პოლ ლე გუენი
**გაფრთხილება:** დიარა, სერქანი, კრისი
**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი)
42 000 მაყურებელი

**სპარტა 0:0 მანჩესტერი**

**სპარტა:** ბლაჟეკი, პერგლი, ჰომოლა, რადოსლავ კოვაჩი, პეტრაში (მ. ჩეხი 82), პობორსკი, შივოკი, ზელენკა (შიმაკი 82), ვორიშეკი, ურბანეკი, იუნი (მედუნა 75)
**მწვრთნელი:** ფრანტიშეკ სტრაკა
**მანჩესტერი:** კეროლი, გ. ნევილი, ბრაუნი, სილვესტრი, ჰაინეი, მილერი, სქოულზი, ოში, გიგზი (კ. რონალდო 890), ვან ნისტელროი, რუნი (საა 79)
**მწვრთნელი:** ალექს ფერგიუსონი
**გაფრთხილება:** კოვაჩი, მილერი, სქოულზი
**მსაჯი:** მასიმო დე სანტისი (იტალია)
20 564 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიონი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| მანჩესტერი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| ფენერბაჰჩე | 3 | 1 | 0 | 2 | 4:9 | 3 |
| სპარტა | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |

**IV ტური: 3 ნოემბერი**
**მანჩესტერი — სპარტა**
**ლიონი — ფენერბაჰჩე**



*დოპინგი სულაც არ ყოფილა: ადრიან მუტუმ აღიარა, რომ ნარკოტიკი მიიღო და მეორე ტესტი საჭირო არ არის. მის პირველ ტესტში კოკაინის კვალი აღმოაჩინეს და ფეხბურთელმაც, მრჩევლებთან საუბრის შემდეგ თქვა, რომ კოკაინს ყნოსავდა და რომ შინაგანად სრულიად დანგრეულია*

# ყნოსავდი, ბიჭი?!

## მუტუ კოკაინზე შემჯდარი ყოფილა

**პროფესიონალ** ფეხბურთელთა ასოციაციის შეფმა გორდონ ტეილორმა მუტუსთან ლაპარაკის შემდეგ დაადასტურა, რომ მეორე ტესტი საჭირო არ არის, რადგან რუმინელი ვარსკვლავი წამალზე შემჯდარი კაცია.

მუტუს ერთ-ერთმა აგენტმა, განთქმულმა გეორგე პოპესკუმ კი თქვა: „ეს მე ვურჩიე, რომ ყველაფერი ეღიარებინა და მეორე ტესტამდე არ მიეყვანა საქმე. იქამდე სანამ მივიდოდა, აგონიაში ჩავარდებოდა, თავიდან მგონი, ვერც მიხვდა რა ვუთხარი."

გუშინ მუტუ „ჩელსის" პასუხისმგებელ შეფს, პიტერ კინიონს შეხვდა. ფეხბურთელს ორწლიანი დისკვალიფიკაცია ემუქრება, თუმც ფეხბურთის ასოციაციის გულმოწყალების იმედი აქვს.

მომავალი კი მაინც მეტად პირქუშია. მეკარე მარკ ბოსნიჩი, რომელიც ასევე კოკაინზე ჩავარდა და მკაცრად არ დასჯეს, ცხრათვიანი უქმობის შემდეგ აღარავინ აიყვანა გუნდში. მუტუს ამტყუნებს მისი მთავარი აგენტი ბეკალი, რომელიც ლონდონში არ გაფრინდა. ის ამბობს: „ოზე მაურინიუ ნამდვილი ჯენტლმენი გამოდგა. მან დამირეკა და და ყველაფერი მიამბო. თუმცა, ისიც დაურთო, რომ ამ ამბავს თავად არ გაახმაურებდა. ასეც მოიქცა, როგორც ნამდვილი ჯენტლმენი. ამიტომ, ლონდონში არ წავედი. ვიცოდი, ყველაფერი მართალი იყო".

მუტუ ახლა იტალიაში აპირებს გამგზავრებას, რათა ბრიტანულ მედიასა და ვითარებას მოერიდოს.

„ჩელსიში" მას ისედაც არ ათამაშებდნენ, თუმც შარშან მისი დებიუტი ამ გუნდში საუცხოო იყო — პირველ 5 თამაშში 6 გოლი გაიტანა.

**ირაკლი გამყრელიძე**

# გლეიზერის 27,63

## ამერიკელი მანჩესტერს ნეგა-ნეგა ყიდულობს



**ამერიკელი** მილიარდერი მალკოლმ გლეიზერი აგრძელებს „მანჩესტერ იუნაიტედის" აქციების შესყიდვას. ბოლო ოთხ დღეში მან მეორედ გაზარდა თავისი აქციების ოდენობა და ახლა 27,63 პროცენტის მფლობელია.

შაბათს გლეიზერმა 45 მილიონი გირვანქა დახარჯა, რათა თავისი 19-პროცენტიანი წილი 26-მდე გაეზარდა, ახლა კი 17 მილიონისა კიდევ იყიდა.

გლეიზერი ცდილობს, აქციების 30 პროცენტი მოაგროვოს, რათა მერე მთელი წვრილი აქციების შესყიდვა შეძლოს სრულიად კანონიერად და კლუბის ერთადერთი მეპატრონე შეიქნას.

ამერიკელი დღითიდღე ეწევა „მანჩესტერის" მთავარ მეწილეებს, ირლანდიელ ცხენოსნობის მაგნატებს, ჯონ მანიესა და ჯეიპი მაკმანუსს, რომელთა წილი კლუბში 24 პროცენტს შეადგენს.

**ირაკლი გამყრელიძე**

# საკის ბიჭები

*არიგო საკის გაწვრთნილ „მილანს" ოთხმოციანი წლების საფეხბურთო ევროპაში ბადალს ძნელად მოუძებნიდით — „შავ-წითლებმა" ყველა მაშინდელი გრანდი დაჩრდილეს და მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში ღირსეულად მოიპოვეს „დაუმარცხებელის" სახელი. არიგო საკი ამჟამად „პარმაში" საქმიანობს, კლუბის სპორტული დირექტორია, ხოლო მისი ძველი შეგირდები — ფრანკ რაიკარდი და კარლო ანჩელოტი — შესაბამისად, „ბარსელონასა" და „მილანს" წვრთნიან. დღეს კი „სან სიროზე" „მილანი"— „ბარსაა". კატალონიური „ელ მუნდო დეპორტივო" საკის სწორედ ანჩელოტისა და რაიკარდის საჩემპიონთალიგო ჯახზე ესაუბრა*





# ანჩელოტი VS რაიკარდი

**— ფრანკ რაიკარდის შესახებ რა შეგიძლით გვითხრათ?**

— ფრანკის დღევანდელი წარმატებები არ მიკვირს — მან წლეულს ის მოიმკო, რაც 2003-04-ის სეზონში დათესა. შარშან, როდესაც „ბარსელონას" ძალიან უჭირდა, რაიკარდს ეყო ნიჭი და მოთმინება, რათა „კამპ ნოუზე" თავისი მომგებიანი და გამბედავი პროექტი განეხორციელებინა. შედეგად „ბარსელონამ" პრიმერადიზიონი მეორე ადგილზე დაასრულა. ერთ საიდუმლოსაც გაგიმხელთ — ორი წლის წინ, სანამ რაიკარდს „ბარსას" წარმომადგენლები დაუკავშირდებოდნენ, ფრანკის „პარმაში" მოყვანა ვცადეთ...

**— მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. მოლაპარაკება რატომ ჩაიშალა?**

— მაშინ „პარმაში" მძიმე ვითარება იყო, სეზონის ნახევარიც გასული გახლდათ და რაიკარდმაც იტალიაში ჩამოსვლა აღარ გარისკა... ამის მერე კი მწვრთნელად კარლო ანჩელოტი მოვიწვიე, თუმცა „არტემიო ფრანკიზე" ვერც ის ჩამოვიყვანე.

**— ახლა კი ისინი „ბარსელონასა" და „მილანს" წვრთნიან...**

— ძალიან ვამაყობ იმით, რომ „ბარსა" და „მილანი" მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთის თამაშობენ. ეს კი, ცხადია, ანჩელოტისა და რაიკარდის დამსახურებაა.

**— თქვენი მოწაფეებიდან რამდენიმე დიდ კლუბს ან ნაკრებს თავკაცობს. რას განიცდით, როცა ანჩელოტის, რაიკარდს, გულიტსა თუ ვან ბასტენს მოედანზე სამწვრთნელო ამპლუაში ხედავთ ხოლმე?**

— დიდ კმაყოფილებას, რადგან ეს ბიჭები მაყურებელს შესანიშნავ სათამაშო სტილს სთავაზობენ. იციან, რომ დადებითი შედეგის მიღწევა ყველაზე უკეთ ლამაზი ბურთაობით შეიძლება და დღემდე, როგორც ხედავთ, უმართლებთ კიდეც. აქვე გეტყვით, რომ „ბარსაში" და „მილანში" წონასწორობა უკანახაზელებსა და თავდასხმას შორის სხვა გუნდებზე მეტად დაცულია.

**— ამ ორი გუნდის თავისებურებებად რას მიიჩნევდით?**

— იმას, რომ თავიანთ ვარსკვლავებს სასარგებლოდ იყენებენ. ხომ არსებობენ ვარსკვლავებით გადაჭედილი გუნდები, რომლებიც, მიუხედავად თავიანთი სიძლიერისა, „ბარსას" და „მილანს" შედეგებით ვერ სჯობნიან?

**— მადრიდის „რეალსა" და მილანის „ინტერს" გულისხმობთ?**

— არა. საერთოდ იმ გუნდებზე ვამბობ, რომელთაც გალაქტიკური შემადგენლობა კი ჰყავთ, მაგრამ დაბნეული და უსახური თამაშით ქომაგს გულს უხეთქავენ.

**— ოთხშაბათს ანჩელოტი და რაიკარდი ძალებს ერთმანეთთან საჩემპიონთალიგო დუელში მოსინჯავენ. ამ მატჩს ალბათ აუცილებლად დაესწრებით...**

— „მილანი"—„ბარსას" ხილვა მართლაც ძალიან მინდა. „პარმა" ხუთშაბათს უეფას თასის მატჩში „ბილბაოს" ეთამაშება და თუ გუნდთან ერთად ესპანეთში წასვლა არ მომიწია, ოთხშაბათს აუცილებლად „სან სიროზე" ვიქნები. იტალიაში ამ შეხვედრას დიდი ინტერესით ელიან და ეს მელევარება მეც კარგად მესმის — დარწმუნებული იყავით, ჩემპიონთა ლიგის ვერც ერთ სხვა თამაშში ასეთ სილამაზესა და დაძაბულობას ვერ იხილავთ. ბოლოს და ბოლოს, ორივე გუნდს „ოქროს ბურთის" მაძიებელი რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს. მგონი, ამით უკვე ყველაფერი ნათქვამია...

**— მეტოქე მწვრთნელების თქვენეული დახასიათება როგორი იქნება? ფრანკ რაიკარდით დავიწყოთ.**

— ფრანკ რაიკარდი ფეხბურთელობისას, მოედანზე და ცხოვრებაშიც, საოცარი სიმტკიცითა და სიმშვიდით გამოირჩეოდა. ძალიან ძლიერი პიროვნებაა. მაშინაც შეეძლო სიმშვიდის შენარჩუნება, როცა დანარჩენი მოთამაშეები ნერვული სტრესის ზღვარზე მიდიოდნენ. „ბარსას" ფეხბურთელების დაწყნარებასა და საბრძოლველად განწყობას დღესაც ამავე მეთოდით ახერხებს.

**— თქვენეულ „მილანში" რაიკარდი ხსენებული თვისებების წყალობით მოხვდა?**

— „მილანს" რაიკარდისნაირი მოთამაშე აკლდა. ჰოლანდიელის ტრანსფერი სილვიო ბერლუსკონის ვთხოვე. ფრანკი „აიაქსის" შემდგომ ლისაბონის „სპორტინგში" ვერ მოეწყო, „სარაგოსაში" გადავიდა და მოლაპარაკებებიც ესპანელებთან უნდა გვეწარმოებინა. ვიცოდით, რომ თუ არ ვიჩქარებდით, იოჰან კრუიფს თანამემამულის „ბარსელონაში" გადაყვანა შეეძლო. საბედნიეროდ, კრუიფს დავასწარით.

**— კარლო ანჩელოტიზე რას გვეტყვით?**

— რაიკარდი, ანჩელოტი — ორივე დიდი ფეხბურთელი იყო და საამწვრთნელო კარიერაც არანაკლებ დიდებული აქვთ. ისინი ერთმანეთის სტილს კარგად იცნობენ. ნაკლებად მოსალოდნელია, „მილანმა" „ბარსა" რაიმეთი გააკვირვოს ან პირიქით. ოთხშაბათის შეხვედრაში ყველაფერს ფეხბურთელების ინდივიდუალური ოსტატობა ან საბედისწერო შეცდომა გადაწყვეტს.

**— შეიძლება, რომ თქვენი პერიოდის „სან სიროს" დაუმარცხებელ გუნდს თანამედროვე „ბარსა" ან „მილანი" შევადაროთ?**

— იმ პერიოდში ძალიან გამიმართლა, რაიკარდისა და ანჩელოტის დარი ფეხბურთელები რომ მყავდა. ოთხმოციანი წლების „მილანის" მსგავსი გუნდის შექმნა კი თავიანთი ფეხბურთელებით ორივე მწვრთნელს შეუძლია. იცით, საოცრად კარგი იქნება, რომ საამსეზონო ლიგის ფინალში ერთმანეთს „ბარსელონა" და „მილანი" შეერკინონ — ღმერთს მადლობას შევწირავ, ამ განსაკუთრებული პატივით თუ დამაჯილდოვებს. ამ ნატვრის ახდენის შემთხვევაში სტამბოლის სტადიონზე ჩემზე ბედნიერი კაცის მოძებნა ძალიან გაგიჭირდებათ.

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

## E ჯგუფი

### პანათინაიკოსი — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ხალკიასი, ვინტრა, გუმასი, კირიაკოსი, მიუნხი (კონსტანტინიდისი), მიტუ, ბასინასი, სკაჩელი, ე. გონსალესი, დემბა, კონსტანტინუ

ლემანი, ლორენი, კემპბელი, ტურე, ე. კოული, პენანტი, ედუ, ფაბრეგასი, პირესი, ანრი, რეიესი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

### რუსენბორგი — პსვ

**სავარაუდო შემადგენლობები**

ე. იონსენი, ჰოფტუნი, რასელი, რისეტი, სტენსაასი, ვინსნესი, სტრანდი, სოლი, ფ. იონსენი, სტორფლორი, ბრატბაკი

გომესი, ლუსიუსი, ალექსი, ბუმა, ი. ლი, პარკი, ვან ბომელი, კოკუ, ფარფანი, ჯ. დე იონგი, ვენეგოორ ოფ ჰესელინკი

მსაჯი: ალან სარსი (საფრანგეთი)

# თევზი წყალში, ბერხკამპი მიწაზე

„რუსენბორგი“ ზედიზედ მერვედ მოხვდა ჩემპიონთა ლიგაში ანუ თუ ვიტყვით, რომ გარკვეულ დონეზე ნორვეგიული გუნდი ამ შეჯიბრებაში თავს ისე გრძნობს, როგორც თევზი წყალში, მართალი ვიქნებით. ამიტომაც გავბედავთ და გაგვიკვირდება, რომ მთელი ამ დროის განმავლობაში მას ჰოლანდიური გუნდი მხოლოდ ორჯერ შეხვედრია. ბოლოს ეს გახლდათ 2002-03 წლების გათამაშებაში, როდესაც ნორვეგიელებმა „აიაქსთან“ შინ 0:0, ამსტერდამში კი 1:1 ითამაშეს, ხოლო მანამდე 1999-00 წლების სეზონში „რუსენბორგმა“ და „ფეიენოორდმა“ ნორვეგიაში 2:2 დაასრულეს, ხოლო როტერდამში ჰოლანდიელებმა 1:0 მოუგეს. ცნობისთვის: მაშინ „რუსენბორგში“ იან კარეუ თამაშობდა და ორივე გოლი მან გაიტანა.

რაც შეეხება „ეინდჰოვენს“, მისი 200-მატჩიანი ევროგამოცდილება კიდევ უფრო მეტი გაოცების საბაბს იძლევა — გუნდი მხოლოდ ერთხელაა ნორვეგიაში ნამყოფი. ეს იყო 1996-97 წლების თასების თასზე, როდესაც გუნდმა ბერგენში „ბრანთან“ 1:2 წააგო.

დღეს ასეა: დისკვალიფიცირებული არც ერთ მხარეს არავინ ჰყავს. დაშავებულები ჰოლანდიურ კლუბში არიან ანდრე ოიერი და კასპერ ბოგელუნდი, ხოლო ნორვეგიულში ბერგი და კრისტერ ბასმა. საეჭვოა, როარ სტრანდისა და ვიდარ რისეტის მონაწილეობა.

დისკვალიფიცირებული არც „პანათინაიკოს“ — „არსენალის“ შეხვედრაში ჰყავს რომელიმე მხარეს, დაშავებულები კი, იცოცხლეთ: ლუსიან სანმარტიანი, სრადან ანდრიჩი, დიმიტრიოს პაპადოპულოსი ბერძენთა მხრიდან, ხოლო პატრიკ ვიეირა და ჟილბერტო სილვა ლონდონელთაგან. დენის ბერხკამპს თვითმფრინავში ჩაჯდომის ტრადიციულად შეეშინდა და შინ დარჩა.

ეს გუნდები ადრე ექვსჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. სტატისტიკა ზუსტად ისეთია, როგორსაც ელოდით — ხუთი მოიგეს ინგლისელებმა, ხოლო ერთხელ ბერძნებმა. ბოლოს ეს გუნდები 2001 წელს გადაეყარნენ ერთმანეთს და აქაც და იქაც მასპინძლებმა მოიგეს. დღეს „არსენალში“ მაშინდელი შემადგენლობის რვა ფეხბურთელია: სოლ კემპბელი, ეშლი კოული, ლორენი, პატრიკ ვიეირა, რობერ პირესი, ფრედერიკ ლიუნგბერგი, ტიერი ანრი და მშიშარა ბერხკამპი. სხვათა შორის, ვიეირას და ბერხკამპს მანამდე 1998-ში უთამაშიათ „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ.

**პაპუნა კედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **არსენალი** | 2 | 1 | 1 | 0 | 2:1 | 4 |
| **პსვ ეინდჰოვენი** | 2 | 1 | 0 | 1 | 1:1 | 3 |
| **პანათინაიკოსი** | 2 | 1 | 0 | 1 | 2:2 | 3 |
| **რუსენბორგი** | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |

**პატრიკ ვიეირა „პანათინაიკოსის“ წინააღმდეგ ამჯერად ვერ ითამაშებს**

## F ჯგუფი

### მილანი — ბარსელონა

**სავარაუდო შემადგენლობები**

დიდა, კაფუ, ნესტა, სტამი, მალდინი, გატუზო, პირლო, ზეედორფი, კაკა, შევჩენკო, ინძაგი

ვ. ვალდესი, ბელეტი, პუიოლი (ფ. ნავარო), ოლეგერი, ვან ბრონკჰორსტი, რონალდინიო, ხავი, მარკესი, დეკო, ეტოო, ლარსონი

მსაჯი: გრემ ჰოლი (ინგლისი)

### შახტარი — სელტიკი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლაშტუვკა, ბარკაუანი, სტოიკანი, ლევანდოვსკი, რაცი, მატუზალემი, ტიმოშჩუკი, ვუკიჩი, სრნა, აგაჰოვა, მარიკა (ვორობეი)

მარშალი, ბალდე, ვარგა, მაკნამარა, აგატი, პეტროვი, ლენონი, უუნინიო პაულისტა, სატონი, ჰართსონი, ა. კამარა

მსაჯი: რენე ტემინჯი (ჰოლანდია)

**თუ დღეს კარლეს პუიოლმა არ ითამაშა, ანდრეი შევჩენკოს გოლი გატანა გაუიოლდება**

# შევჩენკოს გული გოლს უგრძნობს

## სან სირო ჰალსტუხიან რაიკარდს ნახავს

**ჯგუფის** და დღის ცენტრალური მატჩი „სან სიროზეა“ და ალბათ არ გვიწყენთ, თუ ანონსში მხოლოდ ამ შეხვედრის გარშემო ვილაპარაკებთ.

დავიწყოთ იმით, რომ ეს გუნდები წლეულს უკვე შეხვდნენ ერთმანეთს. ზაფხულში „ხუან გამპერის“ თასზე „ბარსელონამ“ 2:1 მოიგო, მაგრამ აბა, სად ის მატჩი და სად დღევანდელი.

დღეს კი მართლაც დიდი თამაშია: „მილანი“ — „ბარსელონა“. სახელები, ტიტულები, ვარსკვლავები, ამბიციები და მავანიც სრულიად მართებულად იტყვის, მეტი რაღა გინდაო.

კარლო ანჩელოტი ფრანკ რაიკარდის წინააღმდეგ — ერთ დროს თანაგუნდელები ახლა მეტოქეები არიან და, თქმა არ უნდა, ერთმანეთის გამწარებას შეეცდებიან, ცხადია, მინდორზე. ისიცაა, რომ ყოფილ მილანელ რაიკარდს „სან სირო“ დიდი ოვაციით დაუხვდება, „მილანის“ უბერებელი მცველის, ბილი კოსტაკურტას სიტყვებიც ამას მოწმობს: „ფრანკი ტიფოზთა გულშია, მან „მილანის“ ცხოვრებაში წარუშლელი კვალი დატოვა“.

ანჩელოტის ყველა მწყობრში ჰყავს, რასაც ვერ ვიტყვით რაიკარდზე. ადრე დაშავებულებს (მოტა, გაბრი, ედმილსონი, სილვინიო, ჟიული, ხორკერა) თუ „ბარსას“ ჰოლანდიელი თავკაცი შეგუებული იყო, დაცვის ბურჯის, კარლეს პუიოლის ფეხის ტრავმა გუნებას ნამდვილად წაუხდენს. გახსოვთ ალბათ, „ესპანიოლთან“ მატჩში ყოფილმა ბარსელმა ივან დე ლა პენიამ რა გამეტებით ჩაარტყა წიხლი პუიოლს. სწორედ ამ ტრავმაზე გვაქვს ლაპარაკი, თუმც გუშინდელი ინფორმაციით, ექიმები გადაჭრით ვერა, მაგრამ მაინც ამბობენ, პუიოლს ფეხზე დავაყენებთო, თუ არ დადგა, მაშინ მის ნაცვლად ახალგაზრდა ფერნანდო ნავაროს გამოჩენაა მოსალოდნელი.

„მილანი“ კი, გითხარით, სრულ საბრძოლო განწყობაზეა — ფილიპო ინძაგიც ჯანზეა და იაპ სტამიც. ხოლო თუ „როსონერის“ სავარაუდო შემადგენლობასაც გადაიკითხავთ, მიხვდებით, რომ ძირითადი თერთმეტეულიც სწორედ ესაა.

ახლა ტაქტიკაზეც. ანჩელოტი ჩვეულ 4-3-1-2-ს არ ღალატობს, რაიკარდისა კი კლასიკური 4-4-2-ია.

კიდევ იმას ამბობენ, რომ დღევანდელი შეხვედრა წლევანდელი „ოქროს ბურთის“ პოტენციურ მაძიებელთა დუელიც იქნება: „მილანიდან“ ანდრეი შევჩენკოზე და კაკაზეა საუბარი, „ბარსელონადან“ კი რონალდინიოზე და დეკოზე.

ამასობაში „ბარსას“ კამერუნელი ფორვარდი სამუელ ეტოო ამბობს: „მილანი“ დიადი გუნდია, მეტოქეს უდიდეს პატივს ვცემთ და თავისთავად მატჩიც ძალიან საინტერესო იქნება. რატომ? ჩვენ შეგვიძლია და გვინდა, „სან სიროზე“ მოვიგოთ, ჩვენ ეს უბრალოდ, გვჭირდება“.

მატჩამდელი კომენტარი „შავ-წითლების“ ლიდერს, ანდრეი შევჩენკოსაც სთხოვეს ჟურნალისტებმა და ის გაახსენეს, „ბარსასთვის“ ხუთი გოლი რომ აქვს გატანილი (ორი კიევში და ჰეთ თრიქი „კამპ ნოუზე“):

„რომ ვთქვა, არ მახსოვსო, მოგატყუებთ. ცხადია, მახსოვს, მაგრამ დრო და ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. მაშინ კიევის „დინამოში“ ვიყავი და ახლა „ბარსაც“ სულ სხვა გუნდია, შემტევი, აგრესიული, ლამაზი ფეხბურთის მიმდევარი. ერთსაც გაგიმხელთ, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გული მიგრძნობს, გოლი დღესაც უნდა გავიტანო“.

ერთი სიტყვით, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი, ზუსტად ამაზეა ნათქვამი. 85-ათასიან „სან სიროზე“ ანშლაგი და დიდი ფეხბურთი იქნება, მსაჯი კი ინგლისელი გრემ პოლია.

**გიორგი ვაშაკიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **ბარსელონა** | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| **მილანი** | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| **სელტიკი** | 2 | 0 | 0 | 2 | 2:6 | 0 |
| **შახტარი** | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | 0 |

# ჩემპიონთა ლიგა 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. III ტური. დღეს

## G ჯგუფი

### ანდერლეხტი — ვერდერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ზიტკა, ვანდენ ბორე, კომპანი, დე ბუკი, დეშახტი, ვილჰელმსონი, ჰასი, ბასეჯიო, ერე, ზეტერბერგი, დინდანე

რაინკე, პასანენი, ისმაელი, ბაუმანი, სტალტერი, ლაგერბლომი, ერნსტი, მანინი, მიკუ, კლოზე, ხარისტიასი

მსაჯი: ჯლაუს-ბო ლარსენი (დანია)

### ვალენსია — ინტერი

**სავარაუდო შემადგენლობები**

კანისარესი, კურო ტორესი, პელეგრინო (მ. კანეირა), დ. ნავარო, კარბონი, ხისკო (ვისენტე), ბარახა, ალბელდა, აიმარი, ანგულო, დი ვაიო

ფონტანა, ზე მარია, ბურდისო, მატერაცი, ფავალი, ვან დერ მეიდე, კ. ძანეტი, კამბიასო, ვერონი, ადრიანო, ვიერი

მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

# სად არის ჯუპერი?

**ყოველთვის** როცა „ანდერლეხტი“ და „ვერდერი“ ერთმანეთს შეხვდებიან, ფეხბურთის თავგადაკლულ გულშემატკივარს, ყველა გამორჩეული თამაში რომ ახსოვს, ამათი თერთმეტი წლის წინანდელი თამაში გაახსენდება. მაშინ, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე, გასაოცარი რამ მოხდა — 93 წლის დეკემბერში, ბრემენში, 33-ე წუთზე ბელგიელები სამი ბურთით იგებდნენ და ვინ წარმოიდგენდა, რომ იმ თამაშის შემობრუნება შესაძლებელი იყო. მაგრამ, როგორც ამბობენ, არასოდეს თქვა, არასოდეს — მეორე ტაიმის 23-წუთიან მონაკვეთში „ვერდერმა“ მეტოქეს 5 გოლი გაუტანა და მატჩი მოიგო. ამგვარი გამაოგნებელი თამაშები ისტორიას მოგეხსენებათ, ბევრი არ ახსოვს.

ეს როგორც ავღნიშნეთ, 11 წლის წინ მოხდა. უფრო შორს გავიხედოთ და ვთქვათ, რომ „ანდერლეხტს“ გერმანული გუნდებისთვის მთელი ცამეტი წელია არ მოუგია, ბოლო შვიდი შეხვედრიდან კი ექვსი წააგო.

ამ მხრივ საამაყოდ აქვს საქმე „ვერდერს“, რომელმაც ბელგიურ კლუბებთან ბოლო ხუთი თამაშიდან ხუთივე მოიგო. საინტერესო ფაქტია — „ვერდერს“ ბოლო ათი საევროთასო გასვლითი მატჩიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული და ისიც ბელგიურ კლუბთან, „გენკთან“.

სადღეისოდ კი გუნდებში ასეთი ვითარებაა: დისკვალიფიცირებული არც ერთს არავინ ჰყავს, მაგრამ თანამედროვე ფეხბურთში ისე როგორ იქნება, ტრავმირებულიც არავინ იყოს. ბელგიელებს ლაზარეთში გამწესებული ჰყავთ ჰანუ ტიინენი, მარტინ კოლარი და ჰენად იესტროვიჩი. ბრემენელთაგან კი დავალა უმითი და დანიელ იენსენი მკურნალობენ.

ტურისწინა ამბების მოყოლა ბელგიურ-გერმანული წყვილით კი დავიწყეთ, მაგრამ დაგვეთანხმებით, რომ ამ ჯგუფის მთავარი მატჩი მეორეა. ამ მეორეში „ვალენსია“ „ინტერს“ მასპინძლობს.

დღეს უკვე წარსულს არის ჩაბარებული ის დრო, როცა ამათი შეხლის წინ დიდი ამბით ვაცხადებდით, ექტორ კუპერის გუნდი ნაკუპერალს ხვდებაო. თუ გახსოვთ, ბოლო წლებში ეს ორჯერ მოხდა. ისე კი „ვალენსია“ და „ინტერი“ ერთმანეთს აქამდე სამჯერ გადაჰყიან და სამივეჯერ ევროთასთა ორმატჩა მეოთხედფინალებში. იმასაც მოგახსენებთ, რომ ამ ექვსი მატჩის მერე მათ შორის სრული თანაფარდობაა — ორი თამაში ესპანელებმა მოიგეს, ორი იტალიელებმა და ორიც ფრედ დასრულდა.

ისევ სტატისტიკას მივხედოთ და დავძინოთ, რომ „ვალენსიას“ ბოლო ცხრა საშინაო საევროპო მატჩიდან რვა მოგებული აქვს და ერთიც ფრედ დაასრულა.

შემადგენლობებში კი მეტოქეებს თითო ფეხბურთელი აკლიათ დისკვალიფიკაციის გამო. ვალენსიელთაგან ეს კარლოს მარჩენაა, ვინაც ერთი მატჩით ჰყავს მოკვეთილი უეფას. მილანელი სინიშა მიხაილოვიჩის საქმე კი უფრო რთულადაა — მას 8-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს, თუმცა დღევანდელი თამაში ამ რვიდან მეშვიდეა.

ამათ გარდა ესპანელებს არ ეყოლებათ მუხლმტკივანი რობერტო აიალა, იტალიელებს კი ობეფაში მარტინსი. საეჭვოა ვალენსიელი ვისენტეს და მილანელების კარლოს გამარას და კილი გონსალესის თამაშიც, თუმცა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა იმდენად მძიმეც არ არის, მოედანზე გასვლა გადაჭრით გამოვრიცხოთ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | ირაკლი ნინიძე |
| ინტერი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| ვერდერი | 2 | 1 | 0 | 1 | 2:3 | 3 |
| ვალენსია | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ანდერლეხტი | 2 | 0 | 0 | 2 | 1:5 | 0 |

ხომ გახსოვთ ის ძველი დრო, კილი გონსალესი „ვალენსიაში“ ესპანეთის ჩემპიონი რომ გახდა, ახლა, ტრავმა თუ მოიშუშა, ეგებ იქით შეუტიოს

## H ჯგუფი

### პსჟ — პორტუ

**სავარაუდო შემადგენლობები**

ლეტიზი, მენდი (ატება), პიერ-ფანფანი, იეპესი, არმანი, როტენი, ე. სისე, მბამი, კორიდონი, პაულეტა, ლიუბოია

ვიტორ ბაია, სეიტარიდისი, ჟორჟე კოშტა, პეპე, რიკარდუ კოშტა, დიეგო, მანიშე, კოშტინია, კარლოს ალბერტო, დერლეი სილვა, მაკკარტი

მსაჯი: პიერლუიჯი ჯოლინა (იტალია)

### ჩელსი — ცსკა

**სავარაუდო შემადგენლობები**

პ. ჩეხი, პ. ფერეირა, ტერი, რ. კარვალიუ, ბრიჯი, სმერტინი, ლამპარდი, მაკელელე, ჯ. კოული (კეჟმანი), დაფი, გუდიონსენი

აკინფეევი, შემბერასი, იგნაშევიჩი, ა. ბერეზუცკი, ოდია, უირკოვი, იაროშიკი, ალდონინი, რახიმიჩი, სემაკი, ვაგნერი

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)



# გასაგები გაუგებრობა

## აბრამოვიჩს აბრამოვიჩი ეთამაშება

**„ჩელსი“ — ცსკა** ფეხბურთზე მეტად ახალ რუსებზე, ძველ ჩუკოტკაზე თუ რაღაც ამგვარზე ფიქრებს აღძრავს. თავიდან, როდესაც კენჭისყრამ ხსენებული გუნდები ერთ ჯგუფში მოახვედრა, თუ გახსოვთ, ევროპაში რაღაც სკანდალისმაგვარი აგორდა. ეს რა გამოდის, რომან აბრამოვიჩის ორი გუნდი ერთმანეთს ეთამაშებაო, მაგრამ აბრამოვიჩმა თქვა, ცსკა ჩემი არ არისო და თუ არ ვცდებით, ამით დასრულდა ყველაფერი. მოკლედ, ვნახოთ, რა მოხდება. ისე კი საინტერესოა, აბრამოვიჩი რუსეთის ერთ-ერთი „ობლოსტის“ ხელმძღვანელია, მაგრამ მილიონერზე მილიონერია, ლონდონშია გაჭრილი, „ჩელსი“ ჰყავს, დიდ ფეხბურთში „ბანაობს“. ცსკა რუსეთის არმიის ცენტრალური გუნდია და ბრაზილიელებითა და ხორვატებით შეფერილი მის სახეს წარმოადგენს. მოკლედ, პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ რუსეთს ვინმე მტერი, ვთქვათ, საქართველო რომ დაესხას თავს, აბრამოვიჩი აგრესორებისგან ცსკა-მ უნდა დაიცვას. დღეს „სტემფორდ ბრიჯზე“ ჭეშმარიტად დიდი გაუგებრობა მოხდება.

თუმცა ვხუმრობთ. რუსეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ასეთი იუმორი არ ეწყინება, თორემ ჩვენ ხომ ვიცით, რომ სპორტი და პოლიტიკა — ვისთვის ვისთვის და, რუსი ოლიგარქებისთვის მაინც სხვადასხვაა.

მოკლედ, იმის თქმა გვინდოდა, რომ „ჩელსი“ და ცსკა პირველად ხვდებიან ერთმანეთს, მეტიც, აქამდე არც „ჩელსი“ შეხვედრია რუსულ გუნდს და არც ცსკა ინგლისურს, კიდევ იმის თქმა გვინდოდა, რომ ეს მატჩი „ჩელსისთვის“ მეასეა ევროსარბიელზე და საერთოდ, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ლონდონური გუნდი აბრამოვიჩამდელ ეპოქაშიც არსებობდა: 1971 და 1998 წლებში თასების მფლობელთა თასი აქვს მოგებული.

დღევანდელ „ჩელსიზე“ იმის თქმა შეიძლება, რომ ადრიან მუტუ ნარკომანი ჰყოლია, ხოლო შინ შარშან „ბეშიქთაშმა“ რომ მოუგო, მის მერე არ დამარცხებულა.

მაგრამ მაგით ლონდონელები ვის ვის და ცსკა-ს ვერ გააკვირვებენ. რუს ჯარისკაცებს შვიდი თამაშია ევროსარბიელზე არ წაუგიათ. ბოლო ამ კი არა, ამის წინა ზაფხულზე, ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე წააგეს სკოპიეს „ვარდართან“. სხვა საქმეა, რომ ჩემპიონთა ლიგაში ჯერ სტუმრად არ მოუგიათ.

ამ შეხვედრას დისკვალიფიკაციის გამო არავინ გამოტოვებს, უბრალოდ მოსკოველები როლან გუსევი და იური ჟირკოვი ყვითლებს უნდა უფრთხილდნენ, თორემ შემდეგი მატჩის გამოტოვება მოუწევთ, მაგრამ შემდეგი მატჩი... შემდეგაა, დღეს კი „სტემფორდ ბრიჯზე“ რუსი პროლეტარიატის ფულით ნაგები ბურჟუაზიული „ჩელსი“... თუმც ეპოქა, როდესაც ასე ლაპარაკობდნენ გასულია, არა?

სამაგიეროდ, მარადიული პარიზია, სადაც „პარკ დე პრენსზე“ „პარი სენ ჟერმენი“ „პორტუს“ უმასპინძლებს. პორტუგალიელებს საფრანგეთის, უფრო სწორად კი ფრანგული გუნდის ხსენებაზე ალბათ ტანში სასიამოვნო ჟრუანტელი უვლით. მიზეზი ნათელია, მაისის მიწურულს მათ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მონაკოს“ მოუგეს და თასი მოიპოვეს. მაგრამ „მონაკო“ არც მთლად საფრანგეთია და პარიზიც ნაღდად არ არის. ეს კი იმიტომ ვთქვი, რომ „პორტუ“ თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საფრანგეთის დედაქალაქში პირველად არის.

საფრანგეთში კი „პორტუ“ შვიდჯერაა ნამყოფი. ორ-ორჯერ მოუგია და დამარცხებულა, დანარჩენი სამი კი ფრედ უთამაშია.

„პარი სენ ჟერმენი“ კი ქალაქ პორტუში და, კაცმა რომ თქვას, პორტუგალიაშიც ერთხელ გახლავთ „ბოავიშტასთან“ სათამაშოდ ჩასული. მაშინ, უეფას თასის 2002-03 წლების გათამაშებაში პარიზული მატჩი პარიზელთა გამარჯვებით 2:1 დასრულდა, ხოლო პორტუში პორტუელებმა მოიგეს 1:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | პაპუნა კედია |
| ჩელსი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ცსკა | 2 | 1 | 1 | 0 | 2:0 | 4 |
| პორტუ | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| პსჟ | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# სამი თითქმის ერთნაირი ამბავი

ემილიანო მონდონიკო

სილვიო ბალდინი



ფაბიო კაპელო

მიუხედავად ცუდი სტარტისა, „ფიორენტინას“ ხელმძღვანელობა მწვრთნელს, ემილიანო მონდონიკოს მხარს უჭერს.

„მონდონიკო ჩვენი ნდობით სარგებლობს და დროა ხალხმა ეჭვით ლაპარაკს თავი დაანებოს. მას არავინ შეცვლის, რადგან თანამდებობიდან არ წავა — განაცხადა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ფაბრიციო ლუკეზიმ — არ დავმალავთ, ბოლო ტურში საჩვენო შედეგს ველოდით, მაგრამ მეორე მხრივ ნათელია, რომ ჩვენ ამ ეტაპზე სერია A-ს დონისთვის მზად არ ვიყავით“.

შედეგი, რომელიც „იების“ გულშემატკივრებს არ მოეწონათ, შინ „სიენასთან“ 0:0 გახლდათ.

ზოგადად კი საქმე ის არის, რომ უმაღლეს დონეზე ახალდაბრუნებული გუნდისგან აშკარად მეტს ელოდნენ და ეს უპირველეს ყოვლისა, იმიტომ ხდებოდა, რომ ფლორენციელებმა გასულ ზაფხულს დიდი სატრანსფერო კამპანია გასწიეს. საკმარისია თუნდაც ისეთი ფეხბურთელების ჩამოთვლა, ჰიდეტოში ნაკატა და ფაბრიციო მიკოლი რომ არიან. ასეთ ფონზე კი ექვსი თამაშიდან ექვსი ქულა ძალიან ცოტაა.

„დღეს სახარბიელო სიტუაცია ნამდვილად არ გვაქვს, მაგრამ ფეხბურთელებს ყურები არ ჩამოუყრიათ, მთელი გულით იბრძვიან და ეს ძალიან მნიშვნელოვანია — ამბობს თავად მწვრთნელი მონდონიკო — სამწუხაროდ, იღბალი ჯერჯერობით ჩვენსკენ არ არის, მაგრამ ვიმედოვნებ, უახლოეს მომავალში ნავსი გატყდება“.

სხვათა შორის, მიუხედავად იმისა, რომ გასულ სეზონში გუნდი სერია B-დან სერია A-ში გადაიყვანა, ზაფხულში მონდონიკოს სამსახურიდან გაშვებას და მის ადგილზე ალბერტო ძაკერონის მიყვანას აპირებდნენ, მაგრამ შემდეგ ძაკერონის საქმე ჩაშალა და მონდონიკომ თანამდებობა შეინარჩუნა.

ბარემ აქვე ვთქვათ, რომ ემილიანო მონდონიკო ადრე „ტორინოსა“ და „რეჯინაში“ მუშაობით გახლდათ ცნობილი.

ამ დღეებში იტალიაში კიდევ ერთ მწვრთნელს გამოუცხადა მხარდაჭერა კლუბმა. ეს გახლავთ „პარმას“ თავკაცი სილვიო ბალდინი, რომლის ხელმძღვანელობით გუნდმა მორიგი შეხვედრა წაგო, ამჯერად ბრეშაში, 1:3. ეს გახლდათ მეექვსე თამაში და მესამე მარცხი, ასე რომ, ფლორენციელებისა არ იყოს, პარმელებიც მწვრთნელის შეცვლას ელოდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ კლუბი ბალდინის სიძლიერეში დარწმუნებულია.

„ჩვენ ბალდინის სრულიად ვენდობით და მისი შეცვლის მოტივი უბრალოდ არ გვაქვს — ბრძანა კლუბის დირექტორმა ლუკა ბარალდიმ — დღეს ცხრილში ჩახედვა მაინცდამაინც სასიამოვნო არ არის, მაგრამ ამაზე ძალიანაც არ ვნერვიულობთ. ჩვენ გვაქვს კარგად გააზრებული პროექტი, რომელსაც ვახორციელებთ და გეგმიდან გადახვევა არ ვაპირებთ“.

ხსენებული ბალდინი „პარმას“ მწვრთნელის თანამდებობაზე გასულ ზაფხულს დაინიშნა, მაშინ, როდესაც ჩეზარე პრანდელი „რომაში“ წავიდა.

„პარმას“ სატურნირო მდგომარეობამ ქომაგებს შორის გააჩინა ის ეჭვიც, რომ კლუბის შეფები საიანვრო ბაზარზე ახალი ფეხბურთელების შესაძენად აპირებენ გავარდნას, მაგრამ დირექტორმა ბარალდიმ ყველაფერი უარყო:

„სატრანსფერო ბაზარი უბრალოდ არ გვაინტერესებს. პირიქითაც კი ამბობენ, თითქოს ალბერტო ჯილარდინოს გაყიდვით ფინანსური პრობლემების მოგვარება გვინდოდეს, მაგრამ ესეც არ გახლავთ მართალი. ჯილარდინო ჩვენი გუნდის ჩვეულებრივი ფეხბურთელია და ასეთად დარჩება კიდეც“.

ხოლო თუ ზემოხსენებული კლუბები მონდონიკოს და ბალდინის უჭერენ მხარს, ტურინის „იუვენტუსი“ ფაბიო კაპელოს რომ შეაქებს და წაახალისებს, რა გასაკვირია. ტურინელებს ექვსი თამაშის შემდეგ 16 ქულა აქვთ და პირველ ადგილზე არიან. კიდევ, ნიშანდობლივია, რომ „იუვენტუსს“ ამ ექვსს შეხვედრაში ორად ორი გოლი აქვს გაშვებული.

ტურინულმა გაზეთმა „ტუტო სპორტმა“ ინტერვიუ ჩამოართვა წარსულში დიდ ფეხბურთელსა და დღეს „ბებერი ქალბატონის“ ვიცე-პრეზიდენტს რობერტო ბეტეგას, რომელმაც ბრძანა:

„ჩვენ ფაბიო კაპელოს ძალიან კარგად ვიცნობდით და ვიცოდით, რომ ფეხბურთელებს მხოლოდ საუკეთესოს ჩაუნერგავდა. საამისოდ სეზონისთვის მზადება იტალიაში პირველებმა დავიწყეთ, თან, გავითვალისწინეთ, რომ ჩემპიონთა ლიგაშიც ვმონაწილეობდით. ერთი სიტყვით, მწვრთნელს მდგომარეობაში გასარკვევად დრო მივეცით“.

და მართლაც, თუ ფაბიო კაპელოს „იუვეს“ მწვრთნელად დანიშვნის ისტორია გახსოვთ, ისიც გეხსომებათ, რომ ეს ამბავი ყველასთვის მოულოდნელი გახლდათ. შემდეგ კაპელოს „იუვენტუსში“ მუშაობამ საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია, მაგრამ ბოლოს პრობლემებიც გამოჩნდა:

„დავიდ ტრეზეგეს ტრავმას ნამდვილად ვეღარ ვიწინასწარმეტყველებდით. ეს რომ გვცოდნოდა, ფაბრიციო მიკოლის „ფიორენტინაში“ აღარ გავუშვებდით — დასძინა „იუვეს“ ლეგენდამ — მაგრამ დანამდვილებით ვიცით, რომ იგი იანვარში ჯანმრთელი დაგვიბრუნდება. ძალიან გვეიმედება ალესანდრო დელ პიეროსიც, რომელმაც მის ფორმაში ყოფნა-არყოფნის შესახებ ატეხილ ჭორაობასა და მითქმა-მოთქმას ყური არ უნდა ათხოვოს. რაც შეეხება მარსელო ზალაიეტას, გარკვეულ სიტუაციებს იგი ძალიან კარგად ერგება და ესეც არ იყოს, ჩვენ არასდროს დავივიწყებთ იმას, რაც მას „იუვენტუსისთვის“ ადრე გაუკეთებია“.

**პაპუნა კედია**



# პონპურენტმეზო, სად ხართ?!

## გალიანის მეტოქეს კომიტეტი შეურჩევს

*სერია A და B იტალიის საფეხბურთო ლიგის საპრეზიდენტო არჩევნების გადადებას ემხრობიან. ეს ამბავი ორშაბათ დილით გაირკვა, როდესაც ამ ლიგების 42-დან 41 წევრი შეიკრიბა და თავისი პოზიცია გამოხატა. არჩევნები ორშაბათსავე უნდა გამართულიყო, მაგრამ გაირკვა, რომ 5 ნოემბრამდე გადადებულია*

**ვითარება ასეთია**: ამწუთას ერთადერთი კანდიდატი გახლავთ „მილანის“ ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო გალიანი. ასე რომ, ორშაბათს ფაქტობრივად მისი ხელახალი არჩევა უნდა ჩატარებულიყო, ზოგი კლუბი კი აცხადებდა, რომ ეს დაუშვებელია, რადგან გალიანი დაინტერესებული პირია. ამის პასუხად შეიქმნა საგანგებო ორგანო — ექვსკაციანი კომიტეტი, რომელმაც დრო ითხოვა და გალიანის კონკურენტის შერჩევა გადაწყვიტა. ამ კომიტეტში შედიან ანტონიო ჯირაუდო (იუვენტუსი), კლაუდიო ლოტიტო (ლაციო), მაურიციო ძამპარინი (პალერმო), ივან რუჯერი (ატალანტა), ენრიკო პრეციოზი (ჯენოა) და ფრანკო დალ ჩინი (ვენეცია).

„იმედი მაქვს, ექვსი კაცი თავს გაართმევს ამოცანას და იპოვის ადამიანს, რომელიც თანამდებობაზე კარგად იმუშავებს — განაცხადა თავად გალიანიმ — კონკრეტულად არავინ დაუსახელებიათ, უბრალოდ გეგმები დასახეს. ამწუთას ერთადერთი კანდიდატი მე გახლავართ, მაგრამ ორ კვირაში კიდევ ვინმე უნდა გამოჩნდეს“.

გარდა ამისა, თათბირზე იმსჯელეს ტურის დღის კვირიდან შაბათს გადატანის შესახებაც, მაგრამ ამ ეტაპზე ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. არ არის გამორიცხული, ეს იდეა 2005-06 წლების სეზონისთვის მომწიფდეს და განხორციელდეს.

**პაპუნა კედია**

# სამი ბომბი ჰოლოსკოვისთვის

**რუსეთის** საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა ვიაჩესლავ კოლოსკოვმა გუშინ ქვეყნის ნაკრების მწვრთნელი გეორგი იარცევი საჯაროდ სასტიკად გააკრიტიკა, თუმც პოსტის დატოვებას არ ურჩევს.

გაზეთ „არგუმენტი ი ფაქტის“ რედაქციაში ნასტუმრევ კოლოსკოვს რუს ჟურნალისტთა მთელი არმია შეჰყვა და რუსული ფეხბურთის თავის დაბომბვაც დაიწყო.

ბომბი პირველი: პორტუგალიური სირცხვილი თქვენი პოლიტიკის შედეგია. პასუხი: არავის მეშინია. ახლა მოდაშია ჩემი გაკენწვლა, პირში კი ვერაფერს მეუბნებიან.

ბომბი მეორე: როდემდე აპირებთ ნაკრების მწვრთნელად იარცევის დატოვებას. პასუხი: მაშინ სად იყავით, იარცევმა ნაკრები ევროპის ჩემპიონატზე რომ გაიყვანა? იარცევს ოთხშაბათს შევხვდები და დავილაპარაკებთ. ერთი კია, მწვრთნელმა რატომღაც ობიექტურობა დაკარგა, კეთილ რჩევებს ყურს არ უგდებდა და ნაკრებშიც გამოუსადეგარ ფეხბურთელებს იწვევდა.

ბომბი მესამე: ვიაჩესლავ ივანიჩ, თქვენ როდისღა წახვალთ. პასუხი: რუსულ ფეხბურთში ყველაფერი კარგადაა, ჩვენ ვმუშაობთ, რაც შეგვიძლია ვაკეთებთ.

აი, მოკლედ, ასე იყო გუშინ საქმე. რუსი ჟურნალისტები კი ამბობენ, კოლოსკოვი როგორც ყოველთვის, ახლაც თვალთმაქცობს და მწვრთნელადაც მალე 44 წლის ჩეხ სპეციალისტს იოჟეფ ხოვანეცს მოგვიყვანსო.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ბასტის მორიგი ფანტასტი

## დაისლერი ფსიქიატრიულს დაუბრუნდა

*დეპრესია ისეთი რამეა, ერთხელ თუ მოგაკითხა, მერე მოკითხვებს მოუხშირებს ხოლმე. გამონაკლისი — სამწუხაროდ — არც მიუნხენის „ბაიერნისა“ და ბუნდესნაკრების 24 წლის ნახევარმცველის, სებასტიან დაისლერის დეპრესია გამოდგა*

**როგორც** „ბაიერნის“ მენეჯერი ული ჰაინესი ჰყვება, ფორიაქისა და გულგატეხილობის შემოტევა მან დაისლერს უკვე ორი კვირის წინ შეამჩნია: „მე მას ვკითხე, რამე პრობლემა ხომ არ გაქვს-მეთქი. მან მიპასუხა, ყველაფერი კარგად არისო. მაგრამ ახლა ირკვევა, რომ ბოლო დღეებისას ის თავის პირად ექიმ ფლორიან ჰოლსბიორს ინტენსიურად უკავშირდებოდა.“

დაისლერი გუნდს ტურინში, „იუვესთან“ სათამაშოდ გაჰყვა, იქ გუნდთან ერთად ისადილა, მერე თავის ოთახში განმარტოვდა და ჰაინესს შეეხმიანა.

ჰაინესი: „სებასტიანმა მითხრა, თავს კარგად ვერ ვგრძნობ და მიუნხენში დავბრუნდებიო. მე ვკითხე, საერთოდ რაღას მოდიოდიმეთქი. მან მიპასუხა, რომ „იუვესთან“ თამაში ძალიან უნდოდა...“

ფეხბურთელი უკვე გუშინვე უნდა მისულიყო იმ ფსიქიატრიულ კლინიკაში, სადაც შარშან, დეკემბერიანვარში 52 დღის განმავლობაში მკურნალობდა.

ალბათ გეხსომებათ, რომ იმ 52 დღის შემდეგ ბასტი-ფანტასტი ცხოვრებას იმედიანად და შემართულად დაუბრუნდა. ასევე განეწყვნენ ქომაგებიც, როცა წლევანდელი სეზონის სტარტზე „ბაიერნისა“ და ნაკრების შემადგენლობაში მის მიერ ნაჩვენები ბრწყინვალე ფეხბურთი იხილეს.

მაგრამ ამ ბოლო კვირების განმავლობაში დაისლერი კვლავ შორს იყო სასურველი ფორმისგან. გასულ შაბათს „შალკესთან“ შინ 0:1 წაგებული მატჩისას მაგათმა ის პირველი უფერული ტაიმის შემდეგ სათადარიგოთა სკამზე დასვა.

პროფესორი ჰოლსბიორი ამბობს: „სებასტიანი ვერ იტანს, როცა თამაში არ მისდის და სწორედ ამის გამო ირევა.“

მომხდარის შესახებ უკვე უცნობებიათ ბუნდესნაკრების თავკაც იურგენ კლინსმანისთვისაც.

ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი: „იურგენი ჰაინესს ესაუბრა და დამშვიდდა, რადგანაც ულის აზრით, ამ ჯერზე ვითარება არც ისე დრამატულია.“

**ლევან კელაურაძე**

## ინგლისი

### პრემიერლიგა. IX ტური

**პორტსმუთი 1:0 ტოტენჰემი**

1:0 აიეგბენი (63)

**პორტსმუთი:** ჰისლოპი, გრიფინი, პრიმუსი, სტეფანოვიჩი, ანსუორთი, ფეიე (ა. სისე 85), ქვოში, ბერგერი, ბერკოვიჩი (ფულერი 55), აიეგბენი (დ. კამარა 75), ლუა ლუა

**მწვრთნელი:** ჰარი რედნაპი

**ტოტენჰემი:** პ. რობინსონი, პამარო, ნაიბეტი, კინგი, ე. გარდნერი (კანუტი 72), ს. დევისი, მ. ბრაუნი (კარიკი 72), პედრუ მენდეში, ატუბა (ჯეკსონი 80), რობი კინი, დეფო

**მწვრთნელი:** უაკ სანტინი

**მსაჯი:** რენიე

**20 121 მაყურებელი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 9 | 8 | 1 | 0 | 29:8 | 25 |
| ჩელსი | 9 | 6 | 2 | 1 | 8:2 | 20 |
| ევერტონი | 9 | 6 | 1 | 2 | 10:7 | 19 |
| ბოლტონი | 9 | 4 | 3 | 2 | 14:11 | 15 |
| მიდლსბრო | 9 | 4 | 2 | 3 | 16:12 | 14 |
| მანჩესტერი | 9 | 3 | 5 | 1 | 9:7 | 14 |
| ლივერპული | 8 | 4 | 1 | 3 | 14:8 | 13 |
| ნიუკასლი | 9 | 3 | 4 | 2 | 17:14 | 13 |
| ტოტენჰემი | 9 | 3 | 4 | 2 | 5:4 | 13 |
| ჩარლტონი | 9 | 3 | 3 | 3 | 9:15 | 12 |
| სიტი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:7 | 11 |
| პორტსმუთი | 8 | 3 | 2 | 3 | 12:11 | 11 |
| ასტონ ვილა | 9 | 2 | 5 | 2 | 11:12 | 11 |
| ბირმინგემი | 9 | 1 | 5 | 3 | 7:9 | 8 |
| ვესტ ბრომვიჩი | 9 | 1 | 5 | 3 | 8:13 | 8 |
| ფულემი | 9 | 2 | 2 | 5 | 10:17 | 8 |
| ნორვიჩი | 9 | 0 | 6 | 3 | 7:14 | 6 |
| ბლექბერნი | 9 | 1 | 3 | 5 | 7:18 | 6 |
| საუთჰემპტონი | 9 | 1 | 2 | 6 | 6:12 | 5 |
| კრ. პალასი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:15 | 5 |

## საფრანგეთი

### II დივიზიონი. XII ტური

**გრენობლი 0:0 სედანი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნანსი | 12 | 7 | 2 | 3 | 18:11 | 23 |
| ბრესტი | 12 | 6 | 4 | 2 | 18:13 | 22 |
| გენიონი | 12 | 5 | 6 | 1 | 10:5 | 21 |
| სედანი | 12 | 6 | 3 | 3 | 12:9 | 21 |
| გრენობლი | 12 | 5 | 5 | 2 | 17:16 | 20 |
| ამიენი | 12 | 5 | 4 | 3 | 13:13 | 19 |
| რეიმსი | 12 | 4 | 5 | 3 | 13:13 | 17 |
| დიჟონი | 12 | 4 | 4 | 4 | 14:13 | 16 |
| ლე მანი | 12 | 4 | 4 | 4 | 12:12 | 16 |
| კლერმონი | 12 | 3 | 6 | 3 | 16:13 | 15 |
| ნიორი | 12 | 5 | 0 | 7 | 15:15 | 15 |
| შატორუ | 12 | 3 | 6 | 3 | 12:12 | 15 |
| მონპელიე | 12 | 4 | 3 | 5 | 11:11 | 15 |
| ტრუა | 12 | 4 | 3 | 5 | 16:17 | 15 |
| ანჟე | 12 | 3 | 4 | 5 | 11:13 | 13 |
| ლავალი | 12 | 3 | 4 | 5 | 11:16 | 13 |
| ლე ავრი | 12 | 3 | 3 | 6 | 10:11 | 12 |
| კრეტეი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:14 | 12 |
| გენგამი | 12 | 3 | 3 | 6 | 12:17 | 12 |
| ლორიანი | 12 | 3 | 2 | 7 | 10:19 | 11 |

## პორტუგალია

### სუპერლიგა. VI ტური

**სეტუბალი 1:0 აკადემიკა**

1:0 ზე მეიონგი (80პ)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 13 |
| მარიტიმუ | 6 | 4 | 1 | 1 | 9:6 | 13 |
| პორტუ | 6 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 |
| ბრაგა | 6 | 3 | 3 | 0 | 8:5 | 12 |
| სეტუბალი | 6 | 3 | 2 | 1 | 11:6 | 11 |
| ბელენენსეში | 6 | 3 | 1 | 2 | 12:9 | 10 |
| ბოავიშტა | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 10 |
| ნასიონალი | 6 | 3 | 0 | 3 | 9:9 | 9 |
| სპორტინგი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:8 | 8 |
| რიუ ავე | 6 | 1 | 5 | 0 | 6:5 | 8 |
| ბეირა მარი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| პენაფიელი | 6 | 2 | 1 | 3 | 7:14 | 7 |
| ლეირია | 6 | 1 | 2 | 3 | 9:12 | 5 |
| მორეირენსე | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| ეშტორილი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:12 | 5 |
| აკადემიკა | 6 | 1 | 1 | 4 | 6:9 | 4 |
| გიმარაეში | 6 | 1 | 1 | 4 | 3:6 | 4 |
| ჟილ ვისენტე | 6 | 1 | 0 | 5 | 6:9 | 3 |

## ფეხბურთის რუკასთან

**ინგლისური** „ფულემი“ ახალ მეკარეს ეძებს, რადგანაც ედვინ ვან დერ სარი ლონდონურ კლუბთან კონტრაქტის გახანგრძლივებას არ აპირებს. სავარაუდოდ, „ფულემი“ მას იანვარშივე გაასხვისებს, რათა ზაფხულში სულ უფულოდ არ გაუშვას გუნდიდან. „ჩვენ ყველანაირად ვცდილობთ, ედვინი შევინარჩუნოთ, მაგრამ, როგორც ჩანს, მას სამშობლოში დაბრუნება უნდა. ასე რომ, სხვა გზა არ გვრჩება, ახალ მეკარეს ვეძებთ“ — თქვა „ფულემის“ თავკაცმა კრის კოულმენმა.

**ჰოლანდიური** „აიაქსი“ იანვარში შვედური „სუნდსვალის“ 19 წლის ფორვარდ კალე ლიუნგბერგის შეძენას აპირებს. ეს უკანასკნელი სკანდინავიაში ერთ-ერთი ყველაზე იმედის მომცემი მოთამაშეა და მისით კიდევ არაერთი კლუბია დაინტერესებული, მათ შორისაა ლონდონური „ჩარლტონიც“. ახალგაზრდა თავდამსხმელი ეთიოპიის დედაქალაქ ადის-აბებაში დაიბადა, ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ იგი შვედურმა ოჯახმა იშვილა.

**იტალიური** „ლაციოს“ მმართველი კლაუდიო ლოტიტო სტეფანო ფიორეს კლუბში დაბრუნებას აპირებს. „ერთი თვით ადრე რომ გავმხდარიყავი კლუბის პრეზიდენტი, ყველაფერს გავაკეთებდი ფიორეს შესანარჩუნებლად. ახლა მისი დაბრუნების ვარიანტს განვიხილავთ და ამის დიდი იმედიც გვაქვს. „ვალენსიასთან“ მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს“ — განაცხადა ლოტიტომ.

**გერმანიის** საფეხბურთო კავშირმა „გლადბახისა“ და ეროვნული გუნდის ფორვარდი ოლივერ ნოვილი ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. გასულ უქმეებზე მიონხენგლადბახელებმა „კაიზერსლაუტერნს“ ნოვილის წყვილი გოლით მოუგეს, თუმც ვიდეოგამეორებაზე ნათლად გამოჩნდა, რომ პირველი გოლი მან ხელით გაიტანა. არც „გლადბახი“ და არც თავად ნოვილი სასჯელის გასაჩივრებას არ აპირებენ.

**ესპანურმა** „რეალმა“ კვლავინდებურად „ბეტისის“ ნახევარმცველ ხოაკინს დაადგა თვალი. მადრიდელთა პრეზიდენტ ფლორენტინო პერესის თქმით, იგი სიამოვნებით იხილავდა ახალგაზრდა ფეხბურთელს თავის გუნდში. „სამეფო კლუბის“ უფროსობას ხოაკინი ლუიშ ფიგუს შემცვლელად ესახება.

**ინგლისური** „მანჩესტერი“ მადრიდის „რეალის“ მეკარე იკერ კასილიასით დაინტერესდა. „წითელი ეშმაკები“ უკვე დაუკავშირდნენ ფეხბურთელის აგენტს და მოლაპარაკებას აწარმოებენ. ალექს ფერგიუსონის თქმით, იგი დიდი სიამოვნებით დაიმატებდა კასილიასს თავისუფალი აგენტის სტატუსით. შეგახსენებთ, რომ ამ უკანასკნელს „რეალთან“ კონტრაქტი 2006 წელს ეწურება.

**უკრაინული** „შახტარის“ რუმინელმა თავკაცმა მირჩა ლუჩესკუმ თავისი 19 წლის თანამემამულე ჩიპრიან მარიკა უეინ რუნის შეადარა. „მარიკა რუნის გაცილებით სჯობია. იგი შრომისმოყვარეა, აქვს შესაშური ტექნიკა და ძალიან სწრაფია. ასევე ფლობს დრიბლინგს და დიდი შანსი აქვს, რომ ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელად იქცეს. რუნი ფიზიკურად ძლიერია, მაგრამ მარიკა ბევრად უფრო მრავალმხრივია. ორ-სამ წელიწადში იგი რომელიმე გრანდში ითამაშებს“ — განაცხადა ლუჩესკუმ.

**ინგლისური** „ჩელსი“ იანვარში თანაქალაქელი „ტოტენჰემის“ ფორვარდის, ჯერმენ დეფოს შეძენას აპირებს. ჟოზე მაურინიუს თქმით, იგი ადრიან მუტუს შემცვლელი იქნება. როგორც იცით, რუმინელ ფორვარდს ხანგრძლივი დისკვალიფიკაცია ელის. დეფოს კიდევ ერთი ლონდონური კლუბი, „არსენალი“ აკვირდება, მაგრამ „მეთოფვეები“ რომან აბრამოვიჩზე მეტ ფულს ვერ გადაიხდიანო, იუწყება ბრიტანული პრესა.

**რუსული** „ლოკომოტივის“ წამყვანი მოთამაშეები ნელ-ნელა ტრავმებს იშუშებენ. მოსკოველთა ექიმების თქმით, მალე მინდორს დაუბრუნდება მარატ იზმაილოვი, რომელიც უკვე გუნდთან ერთად ვარჯიშობს. დმიტრი ლოსკოვი ჯერჯერობით ბოლომდე არ მომჯობინებულა, ამიტომ მას შედარებით ნაკლებად ტვირთავენ. ხოლო დმიტრი სიჩოვი და ოლეგ პაშინინი ინდივიდუალური პროგრამით ვარჯიშობენ.

**ინგლისური** „არსენალის“ კაპიტანი პატრიკ ვიეირა შესაძლოა, „მეთოფვეებს“ მომავალ უქმეებზე „მანჩესტერთან“ მატჩში დააკლდეს. ფრანგი „ასტონ ვილასთან“ შეხვედრაში დაშავდა და დღეს „პანათინაიკოსთან“ ვერ ითამაშებს. ექიმების თქმით, იგი ჯიუტად ვარჯიშობს, რათა „წითელი ეშმაკების“ წინააღმდეგ მატჩი არ გამოტოვოს. „ვშიშობ, რომ პატრიკს სერიოზული პრობლემები ექნება. ვნახე, რომ კოჭლობს და ნამდვილად არ მესიამოვნა“ — აღნიშნა „არსენალის“ თავკაცმა არსენ ვენგერმა.

**გერმანულ** „დორტმუნდს“ ახალი პრეზიდენტი ჰყავს. გასულ კვირას დირექტორატთა საბჭოს სასწრაფო კრებაზე გერდ ნიბაუმს პოსტის დატოვება შესთავაზეს, რაზეც მან თანხმობა განაცხადა. ნიბაუმი 1986 წლიდან მართავდა „დორტმუნდს“. კლუბის ახალი პრეზიდენტი რაინჰარდ რაუბალი გახდა. ეს ცვლილებები გუნდის ბოლოდროინდელ წარუმატებლობებს უკავშირდება.

## იტალია

### სერია B. VIII ტური

**ჯენოა 2:1 ტრევიზო**

0:1 ჩენტი (34), 1:1 მაკინვა (46), 2:1 ტედესკო (58)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ემპოლი | 8 | 6 | 1 | 1 | 15:7 | 19 |
| ჯენოა | 8 | 5 | 2 | 1 | 19:8 | 17 |
| ტორინო | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 16 |
| პიაჩენცა | 8 | 5 | 0 | 3 | 12:12 | 15 |
| ალბინოლეფე | 8 | 4 | 2 | 2 | 12:7 | 14 |
| ასკოლი | 8 | 4 | 2 | 2 | 10:10 | 14 |
| პერუჯა | 8 | 3 | 4 | 1 | 11:7 | 13 |
| მოდენა | 8 | 4 | 1 | 3 | 9:7 | 13 |
| ვიჩენცა | 8 | 4 | 1 | 3 | 14:13 | 13 |
| არეცო | 8 | 3 | 3 | 2 | 17:12 | 12 |
| ჩეზენა | 8 | 3 | 2 | 3 | 8:8 | 11 |
| კატანია | 8 | 3 | 2 | 3 | 10:14 | 11 |
| ვერონა | 8 | 3 | 1 | 4 | 14:12 | 10 |
| ტრიესტინა | 8 | 3 | 1 | 4 | 11:14 | 10 |
| ტერნანა | 8 | 2 | 3 | 3 | 9:11 | 9 |
| კატანძარო | 8 | 2 | 2 | 4 | 11:11 | 8 |
| ბარი | 8 | 1 | 4 | 3 | 6:7 | 7 |
| პესკარა | 8 | 1 | 4 | 3 | 8:11 | 7 |
| კროტონე | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | 7 |
| ვენეცია | 8 | 2 | 1 | 5 | 6:12 | 7 |
| ტრევიზო | 8 | 1 | 2 | 5 | 7:13 | 5 |
| სალერნიტანა | 8 | 0 | 4 | 4 | 4:17 | 4 |

## გერმანია

### II ბუნდესლიგა

### VIII ტური

**აინტრახტი 1:2 მიუნხენი**

0:1 კოლომაუნიკი (4), 0:2 მ. ლემანი (45პ), 1:2 ვან ლენტი (56)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფიურტი | 8 | 6 | 1 | 1 | 9:2 | 19 |
| კიოლნი | 8 | 5 | 1 | 2 | 14:12 | 16 |
| ალემანია | 8 | 4 | 3 | 1 | 20:7 | 15 |
| დუისბურგი | 8 | 5 | 0 | 3 | 10:8 | 15 |
| ბურგჰაუზენი | 8 | 4 | 2 | 2 | 16:12 | 14 |
| მიუნხენი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:11 | 12 |
| აუე | 8 | 3 | 2 | 3 | 14:10 | 11 |
| ზაარბრიუკენი | 8 | 3 | 2 | 3 | 10:8 | 11 |
| აინტრახტი | 8 | 3 | 2 | 3 | 16:16 | 11 |
| უნტერჰაჩინგი | 8 | 3 | 1 | 4 | 14:13 | 10 |
| კოტბუსი | 8 | 2 | 4 | 2 | 6:8 | 10 |
| ტრირი | 8 | 2 | 4 | 2 | 8:11 | 10 |
| ალენი | 8 | 1 | 5 | 2 | 7:7 | 8 |
| კარლსრუე | 8 | 2 | 2 | 4 | 9:12 | 8 |
| დინამო | 8 | 2 | 1 | 5 | 12:17 | 7 |
| ერფურტი | 8 | 1 | 4 | 3 | 4:11 | 7 |
| ესენი | 8 | 1 | 3 | 4 | 13:20 | 6 |
| ობერჰაუზენი | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | 5 |

**რეკლამა სარბიელ-ში**

Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80

# უეფას თასი 2004-2005. D ჯგუფი. I ტური

თბილისი. 21 ოქტომბერი. 20 საათი. ლოკომოტივი

## დინამო — სოშო

მსაჯები: შტეფან მესნერი; ტორსტენ ობვურცერი, პერბერტ კრენი; თომას განგლი (ყველა ავსტრია)

# სოშოს ტრავმირებულია

ბაზილ დე კარვალიო

დღეს ფრანგული „სოშო“ თბილისში ჩამოდის. ფრანგები დაახლოებით საღამოს 5 საათისთვის ჩამოფრინდებიან, მცირე ხნით სასტუმროში მოისვენებენ და 7 საათზე „ლოკომოტივის“ სტადიონზე ივარჯიშებენ.

„დინამოს“ დარად ტრავმებს ვერც „სოშო“ გაექცა და გი ლაკომბს ორი მთავარი ფეხბურთელი გამოეცალა — თავდამსხმელები ჯიად ზაირი და დუშ სანტუში. მათ ნაცვლად მწვრთნელმა 18-კაციან შემადგენლობაში ფორვარდი ბაზილ დე კარვალიო და მცველი გრეგორი პესლი შეიყვანა.

ფრანგები ზაირის არყოფნაზე მეტად სანტუშის ტრავმას განიცდიან. საერთო აზრით, გატუნისელებული ბრაზილიელი თავდამსხმელი „სოშოს“ სული და გულია, თუმც ლაკომბი იხტიბარს არ იტეხს და ამბობს — კარვალიოც კარგი ფეხბურთელია და მისი მეიმედებაო.

„სოშოს“ სათბილისო 18-კაციანი შემადგენლობა კი ასეთია:

*მეკარეები — ტედი რიშერი, ჟერარ განონ;*

*მცველები — იბრაჰიმ ტალი, გრეგორი პესლი, სულეიმან დიავარა, ოუმარ დაფი, ფაბიენ ლავუა, მეთიუ ჰელეტი;*

*ნახევარმცველები — ფაბიენ ბუდარენე, რომან პიტო, მიკაელ იზაბეი, ჟირან ნდოუ, იოჰან ლონფატი, უილსონ ორუმა;*

*თავდამსხმელები — ილანი, სიგამარი დიარა, ჟერემი მენეზი, ბაზილ დე კარვალიო.*

ძახა ზალამბერიძე

# სოშოს მთავარი კაცი ლაკომბია

„ფრანს ფუტბოლის“ ჟურნალისტი ჟან-მარი ლანუ რამდენიმე დღის წინ თბილისში იყო ჩამოსული და თანამემამულე ალენ ჟირესის გაწვრთნილ საქართველოს ეროვნულ ნაკრებს უკრაინაშიც ახლდა. ლანუ „დინამო“ — „სოშოსთვის“ თბილისში არ ჩამოდის, თუმც მას გუშინ საფრანგეთში დავურეკეთ და „სოშოზე“ ზოგადად დავეკითხეთ...

**— ვინ ითვლება „სოშოს“ საუკეთესო ფეხბურთელად?**

— ასეთი დუშ სანტუში გახლავთ. ის თავდამსხმელია და ოთხი წელია, რაც „სოშოში“ თამაშობს. სანტუში ბრაზილიელი გახლავთ და ძალიან უცნაურია ის ფაქტი, რომ ტუნისის ნაკრებში თამაშობს. სანტუში ახლა მთლად ჯანმრთელად არ არის და თბილისში ალბათ ვერ წავა.

**— „სოშოს“ ნახევარდაცვაში ვინაა გამორჩეული ფიგურა?**

— „სოშოს“ შუახაზის ძალას ნახევარმცველთა კოლექტიური თამაში განაპირობებს. თუმც შედარებით გამორჩეულია უილსონ ურუმა — ის ნიგერიელია და ათნომრიანი მაისურით თამაშობს.

**— „სოშოს“ დაცვის ხაზზე რას გვეტყოდით?**

— „სოშოს“ საუკეთესო მცველად სილვენ მონსორო ითვლება. ის 23 წლისაა და როცა საფრანგეთის ახალგაზრდულ ნაკრებში თამაშობდა, იქაც გამორჩეული იყო. მონსორო ტანმაღალი მცველია და თავით კარგად თამაშობს. შესაძლოა, თბილისში არც ის იყოს. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ გუნდის



სილვენ მონსორო





გი ლაკომბი

პირველი მეკარე ტედი რიშერია.

**— „სოშოს“ მწვრთნელი გი ლაკომბი რას ეუბნება ჟურნალისტებს „დინამოსთან“ მატჩზე?**

— ლაკომბს სამი დღის წინ ველაპარაკე. მითხრა, „დინამო“ სახელიანი გუნდია, რომელმაც 1981 წელს თასების თასის მოიგოო. ლაკომბის აზრით, უეფას თასის რვა ჯგუფიდან ურთულესი სწორედ ისაა, სადაც „სოშო“, „დინამო“, „ნიუკასლი“, „სპორტინგი“ და „პანიონიოსი“ არიან. ლაკომბმა ისიც მითხრა, რომ „დინამოს“ რამდენიმე თამაშის ვიდეოჩანაწერს უყურა.

**— ლაკომბი როგორ მწვრთნელად ითვლება საფრანგეთში?**

— „სოშოს“ რამდენიმე ფეხბურთელი კი ჩამოვთვალე, მაგრამ მთავარი კაცი გუნდში სწორედ ლაკომბია. ის ძალიან კარგი მწვრთნელია და გამოცდილებაც არ დაეწუნება — მანამდე „გენგამში“ და „ტულუზში“ მუშაობდა.

di_na_mo_fan@hotmail.com

# ფაფუ ლილოს ალილო

## ხუთლარიანი ბილეთები რომ არ იქნებოდა, ვიცოდით? ვიცოდით!

დიდ მატჩამდე დარჩა ერთი დღე.

სიმართლე გითხრათ, თამაშის წინ ცოტა სხვანაირი წარმომედგინა ჩვენი რუბრიკის შინაარსი: მიდით, ჯიგრები ხართ, მოუგეთ მაგათ — აი, ასეთი წერილების სიმრავლეს ველოდი. მაგრამ ერთმა წერილმა სარბიელელებს ხასიათი წაგვიხდინა, თუმცა იმასაც ვერ ვიტყვით, რომ ამ წერილში მონათხრობმა ამბავმა ვინმე გაგვაკვირვა. ამ წერილმა რუბრიკის ფორმის შეცვლაც გვაფიქრებინა და ამიტომ მას თავისი კომენტარით და კომენტარის კომენტარით ცალკე გამოვყოფთ, სხვა წერილებს კი ცალკე დავბეჭდავთ

LILOS SADZMO: დიდი პატივისცემით და ბოდიშის მოხდით გწერთ ამ წერილს. ძალიან კი გვიხარია, რომ „დინამო“ უეფას თასზე გავიდა, ის უფრო გვიხარია, რომ საქართველო ევროკავშირთან ინტეგრაციას ესწრაფვის, მაგრამ ასე თუ აპირებენ ევროპასთან დაახლოებას, ვაი მაგათ და ვაი ჩვენს პატრონს. დღეს რამდენიმე მეგობარი ავეჯის ბაზრობაზე წავედით (სხვანაირად ეროვნულ სტადიონს რომ ეძახიან), „დინამო“ — „სოშოს“ მატჩის ბილეთების ყიდვა გვინდოდა. მივედით და საკმაოდ გრძელ რიგში ჩავდექით. დავინყოთ იმით, რომ ამდენ ხალხს მხოლოდ ორი მოლარე გვემსახურებოდა, რომლებიც გვიმტკიცებდნენ, 5-ლარიანი ბილეთები აღარ გვაქვს, ფეხბურთელებმა თავად იყიდესო. არადა, ამ გრძელ რიგში უმეტესობას მხოლოდ 5 ლარი ედო ჯიბეში და უფრო ძვირიან ბილეთს ვერ ყიდულობდა.

ამასობაში „ლოკომოტივის“ სტადიონიდან დაძრული ხალხი მოგვადგა, რომლებისგანაც გავიგეთ, რომ იქ სალაროები საერთოდ არ გაუღიათ.

რაკი ბილეთების მაძიებელთა არმია გაორმაგდა, კეთილი ინებეს და მესამე ბილეთების გამყიდველი გამოუშვეს, მაგრამ 5-ლარიანი ბილეთები მასაც არ ჰქონდა.

სიმართლე გითხრათ, არ გვჯერა, რომ ყველა იაფიანი ბილეთი ფეხბურთელებმა იყიდეს, მაგათ თუ ამდენი ათასი ნათესავ-მეგობარი ჰყავთ, ყოჩაღ მაგათ. ჩვენ უფრო ის გვგონია, რომ იმ ხალხმა, ვისაც ბილეთების რეალიზაცია ევალება, იაფიანი ბილეთები „მოტეხა“, გულშემატკივარს ჯერ ძვირიანი ბილეთები შეასაღა, იაფიანები კი თამაშის წინ სპეკულიანტების ხელში აღმოჩნდება. რატომ გვგონია ასე? იმიტომ, რომ სულ ასე არ აკეთებენ?! ჰოდა, იძახე ევროპელები ვართო, ევროპელები კი არა, სულელები ვართ, ამ ნაძირლებს რომ ვაპარპაშებთ. სანამ ყველა სფეროში ასეთი ხალხია, ვიჯდეთ და ველოდოთ, როდის მიგვიღებენ ევროკავშირში.

ეს წერილი რომ წავიკითხე და რედაქციის სხვა თანამშრომლებს წავაკითხე, არავის შეგვპარვია ეჭვი მის სიმართლეში. რატომ? იმიტომ, რომ წერილის ავტორთა ჯგუფს რომ დავესესხოთ, სულ ასე არ აკეთებენ?! მაგრამ ჟურნალისტურმა ეთიკამ გვაიძულა, მეორე მხარესაც დავკავშირებოდით და ფაქტის მათეული ინტერპრეტაციაც მოგვესმინა.

— ხუთლარიანი ბილეთები იყიდება 1-დან მე-8 რიგამდე. გუშინ იმიტომ არ გაიყიდა ბილეთები „ლოკომოტივზე“, რომ ტექნიკური პრობლემები შეიქმნა — ასე გვითხრა „დინამოს“ მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი ბაქრაძემ — დღეს „ლოკომოტივის სალაროებშიც გაიყიდება ბილეთები. 5-ლარიანი ბილეთები ძალიან ცოტა დარჩა. თამაშზე გაიღება ყველა კარი, გარდა იმისა, რომელსაც პრეზიდენტის დაცვის სამსახური საჭიროდ არ ჩათვლის.

ჩვენს კორესპონდენტთან საუბრისას „დინამოს“ მარკეტინგის სამსახურის ხელმძღვანელს არ განუმარტავს, ვთქვათ, რას ნიშნავს ტექნიკური პრობლემები: მანქანაში ბენზინი ვერ ჩაასხეს, ბილეთები ვაკეში რომ მიეტანათ, სალაროს კარის გასაღები დაიკარგა თუ რა მოხდა, მაგრამ რაც გინდა იყოს, ასეთი თამაშის წინა დღეს სტადიონის სალაროებში ბილეთები რომ არ იყიდება, რაღაც აბსტრაქტულ ტექნიკურ მიზეზებზე ლაპარაკი თავის მართლების უსუსურ მცდელობად მოჩანს. რაც შეეხება პრეზიდენტის დაცვას, პირველ რიგში იმას მოგახსენებთ, რომ საქართველო — ალბანეთის თამაშზე ამ პრეზიდენტის დაცვა წინა პრეზიდენტის დაცვისგან განსხვავებით გულშემატკივრებს აბსოლუტურად კორექტულად ეპყრობოდა, მაგრამ არა მგონია, პრეზიდენტი დასავლეთ ტრიბუნაზე რომ დაბრძანდება, სამხრეთ ტრიბუნაზე ალაყაფის ჩარაზვა მისი დაცვის დაჟინებული მოთხოვნა იყოს. ყოველ შემთხვევაში, რამდენი ჭიშკარი და რა მიზეზით იქნება ჩაკეტილი, დავითვლით და მოგახსენებთ.

ჩვენი რუბრიკისთვის გამოყოფილ ფართობზე კიდევ ორიოდე წერილის დაბეჭდვასღა შევძლებთ და ამდენად ვეცდები, მაქსიმალურად განსხვავებული შინაარსის ორი წერილი შევარჩიო, თუმცა, კაცმა რომ თქვას, ყველა წერილი ერთმანეთს ჩამოჰგავს.

A.METREVELI: ახლა მთავარი რა არის. რა თქმა უნდა — შეშლილი სახეები. ფეხბურთელებიც და ქომაგებიც თითქოს კოლექტიური არაცნობიერი ზეგავლენით ერთობლივად შეშლილი სახეებით უნდა დავუპირისპირდეთ ფრანგებს ისე, რომ მეორე დღეს ჟურნალისტებმა თქვან, შეშლილი სახით კიოდა „ლოკომოტივიო“. ე. ი. სახეები უნდა იყოს შეშლილი და ნითელი. ზოგს ბუნებრივად დაჰკრავს სიწითლე, ხოლო ვისაც ეს უპირატესობა არ გაგვაჩნია, თავადვე უნდა ღრიალისგან გავწითლდეთ. მთავარი ისაა, ფეხბურთელებმა იგრძნონ ტრიბუნიდან დაძრული ეგზალტაციის ტალღა.

M.KAKUSHADZE: დინამომ უნდა მოიგოს. თუ არ მოიგებს, ჯიგრიანად უნდა ითამაშოს. ისე, ფრანგებს შეიძლება „ბასტიას“ თამაშიაღარ ახსოვთ ჩვენთან და გავახსენოთ ერთხელაც. web ოსტატ ბუარას ვუსურვებ, დინამო ისე შორს წასულიყოს ამ გათამაშებაში, რომ მისი გვერდი დინამოს თემაზე მაისის ჩათვლით მუშაობდეს. ხომ გახსოვთ პლაკატი ზაარბრიუკენიდან: თასი საქართველოში! დინამო, დინამო, დინამო...

WEB ოსტატი ბუარა

## დავით ყიფიანის თასი

**მერვედფინალი. პირველი მატჩები**

# შეფაე დინამოს მერვედფინალი ჩურჩხელასავით შეუნახა

**მცხეთა. 20 ოქტომბერი. 15 საათი. არმაზი**

### ვიტ ჯორჯია — ჭაბუკიანი

**მსაჯები:** გ. ვადაჭკორია; ვ. ელისაბედაშვილი, ა. ნონიკაშვილი (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ჩილაჩავა

**ბათუმი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. დინამო**

### ბათუმი — პრემა

**მსაჯები:** დ. სანაია (სოხუმი); გ. დოგრაშვილი (ქუთაისი), ხ. გაგნიძე (გორი); გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. სორდია

**ბოლნისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. თამაზ სტეფანია**

### სიონი — ამერი

**მსაჯები:** მ. მალაღურაძე; მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), მ. ბეუქლიშვილი (ყვარელი); დ. კურტანიძე (სურამი); **სფფ-ის ინსპექტორი:** რ. ტალიაშვილი

**ქუთაისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ტორპედო**

### ტორპედო — მერანი

**მსაჯები:** ლ. სილაგავა (თბილისი); ი. აფციური (დუშეთი), ზ. ხუციშვილი (დმანისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); **სფფ-ის ინსპექტორი:** ზ. პეტრიაშვილი

**ფოთი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ფაზისი**

### კოლხეთი — ცხინვალი

**მსაჯები:** ლ. კვარაცხელია (ზუგდიდი); გ. ცირდავა (გულრიფში), ა. სამხარაძე (სოხუმი); პ. დოგრაშვილი (ქუთაისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ე. სილაგავა

**თბილისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპი**

### თბილისი — დილა

**მსაჯები:** ა. ორდინიძე (ონი); ზ. ჯვარიძე (თბილისი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); მ. მაისურაძე (თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** გ. კეტაშვილი

**თბილისი. 20 ოქტომბერი. 15 საათი. ოლიმპიკი**

### სპარტაკი — ლოკომოტივი

**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი); ლ. მიქელაძე (სამტრედია), ზ. მენთეშაშვილი; ა. კრიჭაშვილი (ორივე თბილისი); **სფფ-ის ინსპექტორი:** ს. კოტრიკაძე

### დინამო — ზესტაფონი

**გადაიდო**

ბ. ჩარგალი დილლეგაშვილის ფოტო

სათასო „თბილისი“—„დილა“ აქამდე სულ გვარიანი ჯახი იყო

დღეს საქართველოს თასის მერვედფინალის პირველი მატჩებია. ეს სწორედ ის ეტაპია, როცა გათამაშებაში ქვეყნის საუკეთესო გუნდებიც ერთვებიან. მოკლედ, დიდი თუ პატარა ყველა ერთად იყრის თავს. ოღონდაც, სადღეისოდ „დინამო“ ისეთი დიდია, რომ... რა გასაკვირია, „დინამო“ — „ზესტაფონი“ გადაიდო. და თუ ვინმე იკითხავს, რატომ გადაიდოო, შეუძლია ეს წერილი (და საერთოდ გაზეთი) აღარ წაიკითხოს.

ბარემ აქვე გეტყვით, რომ საუეფასთასოდ მომართული „დინამო“ ფეროელებს 9 და 12 დეკემბერს შეხვდება — ასე გადაწყვიტა პროფლიგამ.

დანარჩენ მერვედფინალურ წყვილებში დიდ ბათქა-ბუთქს არ ველით, მაგრამ ერთი-ორი გამოსარჩევი მატჩი კი მოგვეძევება. კერძოდ, „სპარტაკ“ —„ლოკომოტივზე“ და „სიონ“ — „ამერზე“ მოგახსენებთ. მთლად ურიგო სანახავი „თბილისი“ — „დილაც“ არ უნდა იყოს, მით უმეტეს, გორელებმა შარშან უკვე გაამწარეს დედაქალაქელები, როცა მეოთხედფინალიდან გაადგეს.

აი, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“ კი სხვა საქმეა. სპარტაკელებმა წინა გათამაშებაში დაიგდეს სათასო გუნდის სახელი — ნახევარფინალამდე მიაღწიეს და გზად „ვიტ ჯორჯიაც“ კი დაჩაგრეს.

ამ წყვილის პირველ მატჩში მასპინძელი რკინიგზული კლუბი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რადგანაც ხვალ „ლოკომოტივზე“ „დინამო“ — „სოშოა“ და მოედანს მოფრთხილება სჭირდება, მეტოქეებმა სტუმარმასპინძლობა გაცვალეს.

ერთი სიტყვით, დაბალლიგელები დიღომში მიიღებენ „ლოკომოტივს“ და უეჭველად ფიცხელ ბრძოლას გაუმართავენ.

„სპარტაკი“ პირველ ლიგაში ერთადერთი დაუმარცხებელი გუნდი კია, მაგრამ ამ სერიის გაგრძელება დღეს ძალიან გაუჭირდება, თუმც თასი რომ სენსაციების მოყვარულია, ყველამ იცის. თავის მხრივ, ამბიციურ რკინიგზელებს ჩემპიონატის გარდა თასზეც სერიოზული მიზნები აქვთ და ვის რა ერგება, მოედანზე ვნახავთ.

უინტერესო არც „სიონ“ — „ამერის“ ჯახი უნდა გამოდგეს. ბოლნისელები უმწვრთნელოდ არიან — გუნდი ვარლამ კილასონიამ დატოვა და მის ნაცვლად მეორე მწვრთნელი გიორგი ყიფშიძე დაარიგებს შეგირდებს. „ამერმა“ კი ზედიზედ სამმატჩიანი წაგებათა სერია წარსულს მიაბარა და პირველ ლიგაში სატურნირო მდგომარეობაც საკმაოდ გამოისწორა. მოკლედ, ბოლნისში საომრად მიდის და არა მგონია, ვინმემ თამამად გაბედოს ამ მატჩზე პროგნოზის გაკეთება.

**ძახა შალამბერიძე**

# პროფლიგა ქომაგებს: მოიწერეთ და ითამაშეთ

**საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა**

**გუშინ** საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის საკოორდინაციო სხდომა გაიმართა. რამდენიმე განსახილველ საკითხში ისიც იყო, თუ რა სახელი უნდა დაერქვას უმაღლეს თუ პირველ ლიგებს. პროფესიული ლიგის პრეზიდენტმა დიმიტრი რამიშვილმა გუშინდელი სხდომიდან რამდენიმე დღით ადრე თავისი პროექტი გამოამზეურა — უმაღლესს და პირველ ლიგებს A და B დაერქვასო. თუმც გუშინდელ შეხვედრაზე რამიშვილმა განაცხადა, ამ საკითხთან დაკავშირებით დისკუსიაში გულშემატკივარიც უნდა ჩაერთოსო. ერთი სიტყვით, თუ ინტერნეტიან კომპიუტერზე ხელი მიგიწვდებათ, პროფესიულ ლიგას თქვენი აზრი ამ მისამართზე გაუგზავნეთ: info@pfl.ge.

რაც შეეხება პროფლიგის კონფერენციას, ის დეკემბერში გაიმართება და ალბათ ლიგათა სახელების საკითხიც მაშინ გადაწყდება.

პროფლიგა გულშემატკივრებისთვის აზარტულ სიახლესაც ამზადებს. uefa.com-ს აქვს თამაში FANTASY FOOTBALL და მსგავსი რამ პროფლიგის ვებ-გვერდზეც გაკეთდება: ქართულ ვარიანტს „ჩვენი ფეხბურთი“ დაერქმევა. გამარჯვებულები ნაირგვარი პრიზებით დასაჩუქრდებიან — კლუბების მაისურებით, სანაკრებო მატჩების ბილეთებით, მათ შორის გასვლითი თამაშებისაც და სხვა.

# ნელ-ნელა აზრზე მოვდივარ

## დანიამდე ოთხი თამაშია

31 წლის **გიორგი ქინქლაძემ** კვიპროსულ ჩემპიონატში ამ უქმეებზე მეორედაც შეცვლაზე ითამაშა — „ანართოსისი“ აეკთან ნულოვან ფრეს გამორჩა, ხოლო ქინქლაძემ მინდორზე მატჩის ბოლო 29 წუთი დაჰყო.

**შეგახსენებთ, რომ სანამ ქინქლაძე „ანართოსისში“ მივიდოდა, წელიწადზე მეტი უგუნდოდ იყო. ქინქლაძისნაირი ნიჭიერი ფეხბურთელი ნაკრების ნებისმიერი მწვრთნელისთვის ყოველთვის საინტერესო იქნება. ჩვენს უპირველეს გუნდს მორიგი მატჩი 17 ნოემბერს აქვს დანიასთან და ალენ ჟირესი ალბათ დაფიქრდება ქინქლაძეზე, ვისაც გუშინ კვიპროსზე დავურეკეთ**

**— ამ დროისთვის როგორ ფორმაში ხარ?**

— ასე ვთქვათ, ნელ-ნელა აზრზე მოვდივარ. წინა მატჩშიც თამაშის ბოლოს შევედი მოედანზე.

**— ზედმეტი წონის პრობლემა უკვე აღარ გაწუხებს?**

— „ანართოსისში“ მისვლამდე ზედმეტი წონა არც მქონია.

**— ნაკრებს მორიგი მატჩი 17 ნოემბერს აქვს — იმ დროისთვის სრულ მზადყოფნაში იქნები?**

— არ ვიცი, თუ აქ ყველა თამაშს ვითამაშებ, იქნებ იმ დროისთვის კარგ ფორმაშიც ვიყო.

**— ახლა არ შეგიძლია, მთელი 90 წუთი რომ ითამაშო?**

— ვერ გეტყვი, თუმც ეს ძალიან არ უნდა გამიჭირდეს — წესით 90 წუთის თამაში ახლავე უნდა შევძლო.

**— მაინც როდისთვის შეძლებ სათანადო კონდიციების აღდგენას?**

— პირველ რიგში აქ უნდა ვითამაშო — ნაკრების დანიასთან მატჩამდე კვიპროსის ჩემპიონატის ოთხი ტურია. მოკლედ, ვნახოთ...

**— კვიპროსულ ჩემპიონატზე რა შთაბეჭდილება შეგექმნა?**

— ხალხი თამაშებზე ბლომად დადის, რაც შეეხება საფეხბურთო ასპექტებს, კვიპროსის ჩემპიონატის კარგად გაცნობა ჯერ ვერ მოვასწარი.

**— ინდივიდუალური პროგრამითაც ვარჯიშობ?**

— რა თქმა უნდა. მე და რამდენიმე ფეხბურთელი დილით ცალკე ვვარჯიშობთ, მათ შორის დავით ჩალაძეც, ხოლო საღამოს გუნდთან ერთად ვართ.

**დავით თავართქილაძე**

# სარბიელი: კრიკეტი

## წარმოგიდგენთ

## სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. I ლიგა** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.30 | 134 | ჩესტერფილდი-სტოკპორტი | 1,65 | 3,4 | 4,6 | 1,11 | 1,21 | 1,95 |
| 22.45 | 135 | ბარნსლი-დონკასტერი | 1,95 | 3,2 | 3,4 | 1,21 | 1,23 | 1,64 |
| 22.45 | 136 | ჰალი-დონსი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| | | **იტალია. სერია A** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 047 | ატალანტა-კალიარი | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 22.30 | 048 | სიენა-იუვენტუსი | 5,6 | 3,2 | 1,65 | 2,03 | 1,27 | 1,08 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17.00 | 049 | კიევო-რეჯინა | 1,7 | 3,0 | 5,6 | 1,08 | 1,3 | 1,95 |
| 17.00 | 050 | ლივორნო-ბოლონია | 2,5 | 2,8 | 2,9 | 1,32 | 1,34 | 1,42 |
| 17.00 | 051 | მესინა-ლეჩე | 2,15 | 2,9 | 3,5 | 1,23 | 1,33 | 1,58 |
| 17.00 | 052 | პარმა-ლაციო | 2,4 | 2,9 | 3,0 | 1,31 | 1,33 | 1,47 |
| 17.00 | 053 | რომა-პალერმო | 1,65 | 3,3 | 5,3 | 1,1 | 1,25 | 2,03 |
| 17.00 | 054 | სამპდორია-ბრეშა | 1,65 | 3,1 | 6,0 | 1,07 | 1,29 | 2,04 |
| 17.00 | 055 | უდინეზე-ფიორენტინა | 1,9 | 2,9 | 4,4 | 1,14 | 1,32 | 1,74 |
| 22.30 | 056 | მილანი-ინტერი | 2,45 | 2,9 | 2,9 | 1,32 | 1,32 | 1,45 |
| | | **ჩემპიონთა ლიგა** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22.45 | 009 | პანათინიკოსი-არსენალი | 4,4 | 3,3 | 1,75 | 1,88 | 1,25 | 1,14 |
| 22.45 | 010 | რუსენბორგი-პსვ | 2,4 | 3,2 | 2,7 | 1,37 | 1,27 | 1,46 |
| 22.45 | 011 | მილანი-ბარსელონა | 2,1 | 3,1 | 3,4 | 1,25 | 1,29 | 1,62 |
| 22.45 | 012 | შახტარი-სელტიკი | 2,05 | 3,2 | 3,4 | 1,24 | 1,27 | 1,64 |
| 22.45 | 013 | ანდერლეხტი-ვერდერი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.45 | 014 | ვალენსია-ინტერი | 2,0 | 3,1 | 3,6 | 1,21 | 1,28 | 1,66 |
| 22.45 | 015 | ჩელსი-ცსკა | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.45 | 016 | პსუ-პორტუ | 2,3 | 3,1 | 3,0 | 1,32 | 1,3 | 1,52 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20.00 | 017 | ზენიტი-აეკ | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| 20.00 | 018 | დინამო(თბ)-სოშო | 2,9 | 3,1 | 2,1 | 1,49 | 1,21 | 1,25 |
| 20.15 | 019 | ეგალეო-მიდლსბრო | 3,2 | 3,2 | 2,15 | 1,6 | 1,28 | 1,28 |
| 20.15 | 020 | ალემანია-ლილი | 3,4 | 3,2 | 2,05 | 1,64 | 1,27 | 1,24 |
| 21.15 | 021 | სტიაუა-სტანდარდი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 20.30 | 022 | დნიპრო-ბრიუგე | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.05 | 023 | ფეიენოორდი-ჰართსი | 1,35 | 4,2 | 8,0 | 1,02 | 1,15 | 2,75 |
| 22.30 | 024 | პანიონიოსი-ნიუკასლი | 4,0 | 3,2 | 1,85 | 1,77 | 1,26 | 1,17 |
| 22.30 | 025 | შალკე-ბაზელი | 1,55 | 3,5 | 6,0 | 1,07 | 1,23 | 2,21 |
| 22.30 | 026 | ამიკა-რეინჯერსი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 22.45 | 027 | ბევერენი-შტუტგარტი | 4,6 | 3,4 | 1,7 | 1,95 | 1,24 | 1,13 |
| 22.45 | 028 | სარაგოსა-უტრეხტი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 22.45 | 029 | ოსერი-გრაცერი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.00 | 030 | ლაციო-ვილიარეალი | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 23.00 | 031 | ბილბაო-პარმა | 1,8 | 3,2 | 4,2 | 1,15 | 1,26 | 1,81 |
| 00.15 | 032 | ბენფიკა-ჰერენვენი | 1,4 | 3,8 | 8,0 | 1,02 | 1,19 | 2,57 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 300 | აბერდინი-მოზერუელი | 2.1 | 3.3 | 3.1 | 1.28 | 1.25 | 1.59 |
| 18:00 | 301 | დანდი-დანფერმლაინი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 302 | ჰართსი-ჰიბერნიანი | 2.0 | 3.3 | 3.3 | 1.24 | 1.24 | 1.64 |
| 18:00 | 303 | კილმარნოკი-ინვერნესი | 1.6 | 3.5 | 5.3 | 1.09 | 1.22 | 2.1 |
| 18:00 | 304 | რეინჯერსი-დანდი იუნ. | 1.15 | 6.0 | 12.0 | 1.0 | 1.04 | 4.0 |
| 18:00 | 305 | ლივინგსტონი-სელტიკი | 9.0 | 4.5 | 1.3 | 3.0 | 1.13 | 1.0 |
| | | **შოტლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 306 | ფოლკირკი-სტ.მირენი | 1.8 | 3.5 | 3.4 | 1.18 | 1.17 | 1.72 |
| 18:00 | 307 | პარტიკი-კლაიდი | 2.35 | 3.4 | 2.45 | 1.38 | 1.19 | 1.42 |
| 18:00 | 308 | რეითი-ჰამილტონი | 2.8 | 3.4 | 2.1 | 1.53 | 1.2 | 1.29 |
| 18:00 | 309 | როსი-ქუინი | 2.1 | 3.5 | 2.7 | 1.31 | 1.18 | 1.52 |
| 18:00 | 310 | სტ.ჯონსტონი-ერდრი | 1.65 | 3.5 | 4.2 | 1.12 | 1.18 | 1.9 |
| | | **შოტლანდია. მეორე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 311 | ალოა-სტრანრარი | 2.9 | 3.5 | 2.0 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 18:00 | 312 | არბროთი-სტირლინგი | 2.9 | 3.5 | 2.0 | 1.58 | 1.18 | 1.27 |
| 18:00 | 313 | ეარი-დამბარტონი | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |
| 18:00 | 314 | ბრეჩინი-ფორფარი | 1.85 | 3.5 | 3.3 | 1.21 | 1.18 | 1.69 |
| 18:00 | 315 | მორტონი-ბერიკი | 1.5 | 3.5 | 5.5 | 1.04 | 1.17 | 2.13 |
| | | **შოტლანდია. მესამე დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 18:00 | 316 | ალბიონი-გრეტნა | 5.5 | 3.6 | 1.45 | 2.17 | 1.14 | 1.03 |
| 18:00 | 317 | კოუდენბითი-ქუინზ პარკი | 2.3 | 3.4 | 2.6 | 1.37 | 1.22 | 1.47 |
| 18:00 | 318 | ისტ სტირლინგი-პიტერჰედი | 9.0 | 5.2 | 1.2 | 3.29 | 1.05 | 1.0 |
| 18:00 | 319 | ელგინი-სტენჰაუზმური | 1.9 | 3.5 | 3.2 | 1.23 | 1.19 | 1.67 |
| 18:00 | 320 | მონტროუზი-ისტ ფაიფი | 2.1 | 3.4 | 2.8 | 1.29 | 1.2 | 1.53 |
| | | **გერმანია. პირველი ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 80 | ჰანზა-ბაიერნი | 4.7 | 3.3 | 1.7 | 1.93 | 1.24 | 1.12 |
| 17:30 | 81 | ვოლფსბურგი-ბოხუმი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 17:30 | 82 | დორტმუნდი-ჰამბურგი | 1.5 | 3.5 | 6.5 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| 17:30 | 83 | მიონხენგლადბახი-ჰანოვერი | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 17:30 | 84 | არმინია-ჰერტა | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 17:30 | 85 | ლაუტერნი-ლევერკუზენი | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 17:30 | 86 | ვერდერი-ნიურნბერგი | 1.4 | 4.0 | 7.0 | 1.03 | 1.16 | 2.54 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 87 | შალკე-მაინცი | 1.6 | 3.4 | 5.4 | 1.08 | 1.23 | 2.08 |
| 19:30 | 88 | ფრაიბურგი-შტუტგარტი | 3.3 | 3.2 | 2.05 | 1.62 | 1.26 | 1.24 |
| | | **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 321 | მიუნხენი-კარლსრუე | 1.7 | 3.4 | 4.5 | 1.13 | 1.23 | 1.93 |
| 21:00 | 322 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2.3 | 3.1 | 2.8 | 1.32 | 1.26 | 1.47 |
| 21:00 | 323 | უნტერჰახინგი-კოტბუსი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| 21:00 | 324 | ესენი-კიოლნი | 3.1 | 3.1 | 2.1 | 1.54 | 1.25 | 1.25 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 325 | ობერჰაუზენი-დინამო | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 17:00 | 326 | ალემანია-ზაარბრიუკენი | 1.85 | 3.3 | 3.7 | 1.18 | 1.23 | 1.74 |
| 17:00 | 327 | ტრირი-ერფურტი | 1.8 | 3.3 | 4.0 | 1.16 | 1.24 | 1.8 |
| 17:00 | 328 | აუე-დუისბურგი | 2.4 | 3.1 | 2.7 | 1.35 | 1.27 | 1.44 |
| 17:00 | 669 | ფიურტი-აინტრახტი | 2.15 | 3.1 | 3.0 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| | | **ავსტრია ბუნდესლიგა** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 347 | ადმირა-შტურმი | 1.8 | 3.4 | 4.0 | 1.17 | 1.24 | 1.83 |
| 20:00 | 348 | ტიროლი-ზალცბურგი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 20:00 | 349 | პაშინგი-მატერსბურგი | 1.45 | 3.8 | 6.3 | 1.04 | 1.17 | 2.37 |

## შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 350 | რაპიდი-აუსტრია | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 17:30 | 351 | გრაცერი-ბრეგენცი | 1.3 | 4.5 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.88 |
| | | **ესპანეთი** | | | | | | |
| | | **პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 70 | ალბასეტე-ბილბაო | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 20:00 | 71 | ბარსელონა-ოსასუნა | 1.35 | 4.4 | 7.7 | 1.03 | 1.14 | 2.79 |
| 20:00 | 72 | ხეტაფე-ბეტისი | 2.3 | 3.0 | 3.0 | 1.3 | 1.3 | 1.5 |
| 20:00 | 73 | ლევანტე-ესპანიოლი | 2.2 | 3.0 | 3.2 | 1.26 | 1.3 | 1.54 |
| 20:00 | 74 | მალაგა-დეპორტივო | 2.5 | 3.2 | 2.5 | 1.4 | 1.25 | 1.4 |
| 20:00 | 75 | რეალი-ვალენსია | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 20:00 | 76 | რასინგი-სარაგოსა | 2.4 | 3.2 | 2.7 | 1.37 | 1.27 | 1.46 |
| 20:00 | 77 | სევილია-ატლეტიკო | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.5 |
| 20:00 | 78 | სოსიედადი-მალიორკა | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 20:00 | 79 | ვილიარეალი-ნუმანსია | 1.65 | 3.4 | 4.8 | 1.11 | 1.22 | 1.99 |
| | | **საფრანგეთი** | | | | | | |
| | | **პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:15 | 369 | ისტრი-ლიონი | 4.5 | 3.2 | 1.8 | 1.87 | 1.28 | 1.15 |
| 22:00 | 370 | პსჟ-აიაჩო | 1.55 | 3.5 | 6.0 | 1.07 | 1.23 | 2.21 |
| 22:00 | 371 | რენი-მეცი | 2.1 | 3.2 | 3.3 | 1.26 | 1.28 | 1.62 |
| 22:00 | 372 | სტ.ეტიენი-ბორდო | 2.6 | 3.0 | 2.6 | 1.39 | 1.29 | 1.39 |
| 22:00 | 373 | სტრასბურგი-ნიცა | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| 22:00 | 374 | კაენი-ნანტი | 2.45 | 3.0 | 2.8 | 1.34 | 1.3 | 1.44 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 375 | მონაკო-ოსერი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 20:00 | 376 | ტულუზი-ლილი | 2.55 | 2.9 | 2.8 | 1.35 | 1.33 | 1.42 |
| 20:00 | 377 | ბასტია-სოშო | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 23:00 | 378 | ლანსი-მარსელი | 2.5 | 3.0 | 2.75 | 1.36 | 1.3 | 1.43 |
| | | **ბელგია პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 390 | ბეერსხოტი-სტანდარტი | 3.0 | 3.3 | 2.0 | 1.57 | 1.2 | 1.24 |
| 22:00 | 391 | გენტი-შარლერუა | 1.9 | 3.3 | 3.7 | 1.2 | 1.25 | 1.74 |
| 22:00 | 392 | სტ ტრუიდენი-ბრიუსელი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:00 | 393 | ვესტერლო-მუსკრონი | 2.1 | 3.2 | 3.2 | 1.26 | 1.26 | 1.6 |
| 22:00 | 394 | მონსი-ლოკერნი | 2.6 | 3.3 | 2.4 | 1.45 | 1.24 | 1.38 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 395 | ბევერენი-სერკლი | 1.85 | 3.3 | 3.9 | 1.18 | 1.25 | 1.78 |
| 17:00 | 396 | ოსტენდე-ლიერსი | 2.4 | 3.3 | 2.6 | 1.38 | 1.24 | 1.45 |
| 17:00 | 397 | ბრიუგე-ლუვიე | 1.3 | 4.7 | 7.7 | 1.01 | 1.11 | 2.91 |
| 17:00 | 398 | ანდერლეხტი-გენკი | 1.45 | 3.8 | 6.7 | 1.04 | 1.19 | 2.42 |
| | | **ჰოლანდია 1 დივიზიონი** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:00 | 408 | ტილბურგი-გრონინგენი | 1.7 | 3.5 | 4.5 | 1.14 | 1.23 | 1.96 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 409 | როზენდალი-ტვენტე | 2.2 | 3.3 | 2.95 | 1.32 | 1.26 | 1.55 |
| 22:00 | 410 | ვიტესი-ალკმაარი | 2.3 | 3.3 | 2.7 | 1.35 | 1.24 | 1.48 |
| 22:00 | 411 | ნაიმეგენი-ბრედა | 1.95 | 3.4 | 3.5 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 14:30 | 412 | პსვ-აიაქსი | 1.95 | 3.35 | 3.55 | 1.23 | 1.25 | 1.72 |
| 16:30 | 413 | როდა-დენ ბოსხი | 1.45 | 3.8 | 6.5 | 1.04 | 1.18 | 2.39 |
| 16:30 | 414 | გრააფსხაპი-დენ ჰააგი | 2.05 | 3.4 | 3.2 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| 16:30 | 415 | ფეიენოორდი-უტრეხტი | 1.25 | 5.0 | 8.7 | 1.0 | 1.09 | 3.17 |
| 16:30 | 416 | ჰერენვენი-უტრეხტი | 2.05 | 3.4 | 3.2 | 1.27 | 1.24 | 1.64 |
| | | **პოლონეთი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:30 | 479 | ლეგია-ეურნიკი | 1.35 | 4.0 | 7.0 | 1.0 | 1.13 | 2.54 |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 480 | პოლონია-გროცლინი | 3.5 | 3.2 | 1.9 | 1.67 | 1.23 | 1.19 |
| 19:00 | 481 | ვისლა-ოდრა | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:25 | 483 | ბანიკი-სპარტა | 2.9 | 3.1 | 2.3 | 1.49 | 1.28 | 1.32 |
| 19:00 | 484 | ზლინი-ბოლესლავი | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 22:00 | 485 | სიგმა-ბრნო | 1.5 | 3.5 | 6.0 | 1.04 | 1.2 | 2.21 |
| 22:00 | 486 | სლავია-ოპავა | 1.4 | 4.3 | 6.3 | 1.05 | 1.14 | 2.55 |
| 22:00 | 487 | ბუდეიოვიცე-ტეპლიცე | 2.5 | 2.9 | 2.7 | 1.34 | 1.29 | 1.39 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:00 | 488 | ბლშანი-სლოვაკეთი | 2.7 | 2.9 | 2.5 | 1.39 | 1.29 | 1.34 |
| 19:00 | 489 | პრეიმბრამი-დრნოვიცე | 1.8 | 3.2 | 4.0 | 1.15 | 1.24 | 1.77 |
| 18:40 | 490 | ლიბერეცი-იაბლონეცი | 1.6 | 3.5 | 4.8 | 1.09 | 1.2 | 2.02 |
| | | **სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **23 ოქტომბერი** | | | | | | |
| 16:00 | 491 | ინტერი-სობოტა | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.35 | 1.47 |
| 16:00 | 492 | რუჟომბეროკი-პუხოვი | 1.5 | 3.5 | 5.4 | 1.04 | 1.17 | 2.12 |
| 16:00 | 493 | ტრენჩინი-დუბნიცა | 2.2 | 3.0 | 2.9 | 1.26 | 1.25 | 1.47 |
| 16:00 | 494 | ტრანავა-პეტრჟალკა | 2.6 | 2.9 | 2.6 | 1.37 | 1.29 | 1.37 |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 495 | ჟილინა-ბ.ბისტრიცა | 1.65 | 3.4 | 4.3 | 1.11 | 1.19 | 1.89 |
| | | **სლოვენია** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 510 | მარიბორი-ოლიმპია | 1.95 | 3.0 | 3.5 | 1.18 | 1.25 | 1.61 |
| | | **დანია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 525 | რანდერსი-ესბიერგი | 4.0 | 3.6 | 1.7 | 1.89 | 1.19 | 1.15 |
| | | **დანია პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 532 | დალუმი-ფრემადი | 3.3 | 3.8 | 1.85 | 1.76 | 1.18 | 1.24 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **ტიპერლიგა** | | | | | | |
| | | **24 ოქტომბერი** | | | | | | |
| 20:00 | 542 | ბრანი-ვიკინგი | 2.0 | 3.2 | 3.4 | 1.23 | 1.25 | 1.64 |
| 20:00 | 543 | ლინი-ლილესტრიომი | 2.2 | 3.1 | 3.1 | 1.28 | 1.28 | 1.54 |
| 20:00 | 544 | ბოდიო გლიმტი-რუსენბორგი | 4.1 | 3.6 | 1.7 | 1.91 | 1.2 | 1.15 |
| 20:00 | 545 | სტაბეკი-მოლდე | 2.2 | 3.2 | 3.0 | 1.3 | 1.26 | 1.54 |
| 20:00 | 546 | ჰამარი-ვოლერენგა | 2.7 | 3.2 | 2.4 | 1.46 | 1.27 | 1.37 |
| 20:00 | 547 | სოგდალი-ოდ გრენლანდი | 3.0 | 3.2 | 2.2 | 1.54 | 1.26 | 1.3 |
| 20:00 | 548 | ფრედრიკსტადი-ტრომსიო | 2.25 | 3.2 | 2.9 | 1.32 | 1.26 | 1.52 |
| | | **ნორვეგია** | | | | | | |
| | | **პირველი დივიზიონი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:00 | 549 | ალესუნდი-სტარტი | 1.9 | 3.8 | 3.2 | 1.26 | 1.19 | 1.73 |
| 17:00 | 550 | ჰაუგესუნდი-ბრინი | 1.85 | 3.8 | 3.3 | 1.24 | 1.18 | 1.76 |
| 21:00 | 551 | სტრომსგოდსეტი-ვარდ ჰაუგესუ | 1.45 | 4.4 | 5.1 | 1.09 | 1.12 | 2.36 |
| | | **მექსიკა** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 594 | ტოლუკა-ატლასი | 1.8 | 3.1 | 4.0 | 1.13 | 1.24 | 1.74 |
| 23:45 | 595 | ვერაკრუსი-კრუს ასული | 1.5 | 3.6 | 5.4 | 1.05 | 1.17 | 2.16 |
| 23:45 | 596 | ტიგრესი-ტეკოსი | 1.55 | 3.5 | 5.0 | 1.07 | 1.18 | 2.05 |
| 23:45 | 597 | ჩივასი-პუებლა | 2.1 | 3.2 | 3.0 | 1.26 | 1.23 | 1.54 |
| 23:45 | 598 | მორელია-ხაგუარესი | 2.0 | 3.1 | 3.1 | 1.21 | 1.21 | 1.54 |
| 23:45 | 599 | ნეკახა-მონტერეი | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 600 | პაჩუკა-დორადოსი | 1.6 | 3.5 | 4.7 | 1.09 | 1.19 | 2.0 |
| | | **21 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 601 | პუმასი-სანტოსი | 1.85 | 3.3 | 3.5 | 1.18 | 1.21 | 1.69 |
| 23:45 | 602 | ატლანტე-ამერიკა | 2.1 | 3.1 | 3.0 | 1.25 | 1.23 | 1.52 |
| | | **არგენტინა** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 22:10 | 615 | ნიუელზი-რასინგი | 1.7 | 3.2 | 4.3 | 1.11 | 1.21 | 1.83 |
| 22:30 | 616 | კილმესი-არსენალი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 617 | ბოკა ხუნიორსი-ბანფილდი | 1.4 | 3.7 | 6.8 | 1.01 | 1.16 | 2.39 |
| 23:45 | 618 | ლანუსი-რივერ პლეიტი | 2.9 | 2.9 | 2.2 | 1.45 | 1.25 | 1.25 |
| 23:45 | 619 | ხიმნასია-კოლონი | 2.0 | 3.1 | 3.2 | 1.21 | 1.23 | 1.57 |
| 23:45 | 620 | ალმაგრო-ესტუდიანტესი | 2.5 | 3.0 | 2.5 | 1.36 | 1.25 | 1.36 |
| 23:45 | 621 | ოლიმპო-არგ. ხუნიორსი | 2.2 | 3.1 | 2.8 | 1.28 | 1.23 | 1.47 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჩილე** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 650 | აუდაქსი-უანიპატო | 2.2 | 3.2 | 2.8 | 1.3 | 1.23 | 1.49 |
| 23:45 | 651 | კობრელოა-კობრესალი | 1.5 | 3.7 | 5.3 | 1.06 | 1.16 | 2.17 |
| 23:45 | 652 | კლო კლო-ჰუერტო მონტი | 1.45 | 3.7 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 654 | კოკიმბო-სან ფელიპე | 1.8 | 3.3 | 3.7 | 1.16 | 1.21 | 1.74 |
| 23:45 | 655 | რეინჯერსი-უნ.ესპანიოლა | 2.2 | 3.2 | 2.7 | 1.3 | 1.21 | 1.46 |
| 23:45 | 656 | უონდერერსი-პალესტინო | 2.2 | 3.2 | 2.7 | 1.3 | 1.21 | 1.46 |
| 23:45 | 657 | ტემუკო-სერენა | 1.45 | 3.7 | 6.0 | 1.04 | 1.16 | 2.28 |
| 23:45 | 658 | უნ.კატოლიკა-ევერტონი | 1.35 | 4.1 | 6.8 | 1.01 | 1.12 | 2.55 |
| | | **ფინეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 19:30 | 670 | ალიანსი-მიუპა | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.24 | 1.71 |
| 19:30 | 671 | ჰაკა-ლახტი | 1.4 | 3.6 | 6.5 | 1.0 | 1.15 | 2.31 |
| | | **შვედეთი. თასი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:00 | 676 | იოსტერსი-იურგორდენი | 4.0 | 3.5 | 1.75 | 1.86 | 1.21 | 1.16 |
| 22:15 | 677 | ჰამარბი-გიოტებორგი | 2.1 | 3.1 | 3.1 | 1.25 | 1.25 | 1.54 |
| | | **სამხრეთ ამერიკის თასი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 23:45 | 674 | სან პაულუ-სანტოსი | 1.75 | 3.3 | 4.0 | 1.14 | 1.21 | 1.8 |
| 23:45 | 675 | კრუზეირო-ინტერნასიონალი | 1.6 | 3.5 | 4.5 | 1.09 | 1.18 | 1.96 |
| | | **ჰოკეი ფინეთი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 17:30 | 825 | ტაპარა-ილვესი | 1.8 | 4.4 | 2.7 | 1.27 | 1.08 | 1.67 |
| 19:30 | 826 | ჰელსინკი-ესპოო | 1.5 | 4.4 | 3.5 | 1.11 | 1.04 | 1.94 |
| | | **ჰოკეი გერმანია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:30 | 873 | ინგოლშტადტ-დუსელდორფი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 21:30 | 874 | ფრანკფურტი-კიოლნი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 21:30 | 875 | იზერლონი-ჰამბურგი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |
| 21:30 | 876 | მანჰაიმი-კრეფელდი | 1.4 | 4.5 | 4.5 | 1.06 | 1.06 | 2.25 |
| 21:30 | 877 | ვოლფსბურგი-აისბარენი | 2.5 | 4.4 | 1.9 | 1.59 | 1.07 | 1.32 |
| 21:30 | 878 | აუგსბურგი-კასელი | 2.1 | 4.4 | 2.3 | 1.42 | 1.09 | 1.51 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **22 ოქტომბერი** | | | | | | |
| 21:45 | 885 | ბერნი-კლოტენი | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 21:45 | 886 | სერვეტი-ცუგი | 1.7 | 4.4 | 2.8 | 1.22 | 1.05 | 1.71 |
| 21:45 | 887 | რაპერსვილი-ლანგნაუ | 1.6 | 4.4 | 3.2 | 1.17 | 1.06 | 1.85 |
| 21:45 | 888 | ციურიხი-ამბრი | 1.95 | 4.4 | 2.4 | 1.35 | 1.07 | 1.55 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **20 ოქტომბერი** | | | | | | |
| 15:30 | 944 | ავანგარდი-სიბირი | 1.3 | 4.8 | 5.5 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| 16:30 | 945 | მაგნიტოგორსკი-სპარტაკი | 1.3 | 4.8 | 5.5 | 1.02 | 1.05 | 2.56 |
| 18:30 | 946 | სევერსტალი-აკ ბარსი | 1.7 | 4.4 | 2.9 | 1.22 | 1.07 | 1.74 |
| 18:30 | 947 | ხიმიკი-ნოვოკუზნეცკი | 2.0 | 4.4 | 2.4 | 1.37 | 1.09 | 1.55 |
| 19:00 | 948 | დინამო-ლოკომოტივი | 1.55 | 4.4 | 3.4 | 1.14 | 1.06 | 1.91 |
| 19:00 | 949 | ასკ-ნეფტეხიმიკი | 2.3 | 4.4 | 2.1 | 1.51 | 1.09 | 1.42 |




ისარგებლეთ
ჯეოს ახალი
მომსახურებით




# I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5009 | პანათინიკოსი-არსენალი | 4,8 | 2,1 | 2,2 | 1,46 | 1,5 | 1,07 |
| 5010 | რუსენბორგი-პსვ | 2,9 | 2,05 | 3,3 | 1,2 | 1,54 | 1,26 |
| 5011 | მილანი-ბარსელონა | 2,6 | 2,05 | 3,6 | 1,14 | 1,5 | 1,3 |
| 5012 | შახტარი-სელტიკი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5013 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,1 | 2,05 | 3,1 | 1,23 | 1,55 | 1,23 |
| 5014 | ვალენსია-ინტერი | 2,45 | 2,05 | 4,0 | 1,11 | 1,51 | 1,35 |
| 5015 | ჩელსი-ცსკა | 1,6 | 2,6 | 7,0 | 1 | 1,3 | 1,89 |
| 5016 | პსჟ-პორტუ | 2,8 | 2,05 | 3,4 | 1,18 | 1,53 | 1,27 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე უსრული ფაფალულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5409 | პანათინიკოსი-არსენალი | 2,4 | 1,6 |
| 5410 | რუსენბორგი-პსვ | 1,85 | 1,95 |
| 5411 | მილანი-ბარსელონა | 1,8 | 2,0 |
| 5412 | შახტარი-სელტიკი | 1,75 | 2,1 |
| 5413 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,9 | 1,9 |
| 5414 | ვალენსია-ინტერი | 1,75 | 2,1 |
| 5415 | ჩელსი-ცსკა | 1,25 | 3,7 |
| 5416 | პსჟ-პორტუ | 1,85 | 1,95 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5109 | პანათინიკოსი-არსენალი | 6,5 | 10,0 | 20,0 | 7,0 | 4,6 | 3,5 | 20,0 | 10,0 | 2,5 |
| 5110 | რუსენბორგი-პსვ | 3,6 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 5,0 | 20,0 | 10,0 | 4,0 |
| 5111 | მილანი-ბარსელონა | 3,2 | 10,0 | 20,0 | 4,2 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5112 | შახტარი-სელტიკი | 3,1 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,0 | 20,0 | 10,0 | 5,3 |
| 5113 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,8 | 10,0 | 20,0 | 4,6 | 4,4 | 4,6 | 20,0 | 10,0 | 3,8 |
| 5114 | ვალენსია-ინტერი | 3,0 | 10,0 | 20,0 | 4,0 | 4,4 | 6,5 | 20,0 | 10,0 | 5,6 |
| 5115 | ჩელსი-ცსკა | 1,6 | 15,0 | 30,0 | 3,5 | 5,6 | 17,0 | 25,0 | 17,0 | 17,0 |
| 5116 | პსჟ-პორტუ | 3,5 | 10,0 | 20,0 | 4,4 | 4,4 | 5,3 | 20,0 | 10,0 | 4,6 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 5509 | პანათინიკოსი-არსენალი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5510 | რუსენბორგი-პსვ | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5511 | მილანი-ბარსელონა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5512 | შახტარი-სელტიკი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5513 | ანდერლეხტი-ვერდერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5514 | ვალენსია-ინტერი | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5515 | ჩელსი-ცსკა | 3,0 | 2,8 | 2,0 |
| 5516 | პსჟ-პორტუ | 3,0 | 2,8 | 2,0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 5309 | პანათინიკოსი-არსენალი | 1,7 | 1,9 |
| 5310 | რუსენბორგი-პსვ | 1,65 | 1,95 |
| 5311 | მილანი-ბარსელონა | 1,65 | 1,95 |
| 5312 | შახტარი-სელტიკი | 1,7 | 1,9 |
| 5313 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,65 | 1,95 |
| 5314 | ვალენსია-ინტერი | 1,65 | 1,95 |
| 5315 | ჩელსი-ცსკა | 1,85 | 1,75 |
| 5316 | პსჟ-პორტუ | 1,7 | 1,9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 5209 | პანათინიკოსი-არსენალი | 1,75 | 1.85 |
| 5210 | რუსენბორგი-პსვ | 1,75 | 1,85 |
| 5211 | მილანი-ბარსელონა | 1,7 | 1,9 |
| 5212 | შახტარი-სელტიკი | 1,75 | 1,85 |
| 5213 | ანდერლეხტი-ვერდერი | 1,8 | 1.8 |
| 5214 | ვალენსია-ინტერი | 1,75 | 1,85 |
| 5215 | ჩელსი-ცსკა | 1,9 | 1,7 |
| 5216 | პსჟ-პორტუ | 1,7 | 1,9 |

ᲕᲣᲠᲐᲒ ᲓᲝᲚᲝᲔᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

# ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲡᲞᲐᲠᲡᲔᲗᲘ ᲯᲝᲒᲡ ᲑᲕᲐᲚᲘᲜᲓᲔᲚ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲡ

## ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡᲐᲪ, ᲐᲐᲪᲝ?

— რა ვქნა, ძალიანაც არ მინდა ირანში წასვლა, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს — გვებუნება დავით ბერძენიშვილი — ბოლო წუთამდე ევროპული კლუბის ვარიანტს ველოდი და არ გამოვიდა.

**— რა ვარიანტები გქონდა და არ შეიძლებოდა, კიდევ მოგეცადა?**

— როგორც ჩემი სლოვენიელი მენეჯერი სლავკო კოტნიკი მეუბნებოდა, ვარიანტები ბლომად იყო. კონკრეტულ გუნდებზე ვერაფერს გეტყვი, ისე კი ბულგარეთის, სლოვენიის, იტალიის სერია B-სა და ესტონეთის ვარიანტები ყოფილა. მოლაპარაკების პროცესი გაიწელა და ირანელებიც აღარ იცდიდნენ, იქ უკვე დაიწყო ჩემპიონატი. ამიტომ სადაც ნაღდი იყო, იქ წავედი, ევროპული კლუბის ცდა ეგებ დიდხანს გაგრძელებულიყო და მთლიანი სეზონი ჩამვარდნოდა.

**— თუ ამდენი ევროპული კლუბების ვარიანტი იყო, რატომ ერთი მაინც არ გამოვიდა?**

— „დინამოსთვის“ დაფინანსების შემცირების ამბავი ძალიან გვიან გადაწყდა, თითქმის აგვისტოს ბოლოს. მოგეხსენებათ, ამ დროს ყველა გუნდი დაკომპლექტებულია და თუ ცნობილი მოთამაშე არ ხარ, ძნელია სადმე მოწყობა. დროის სიმცირის მიუხედავად ჩემი მენეჯერი მაიმედებდა, გიპოვი კლუბსო, მაგრამ უკვე საკმაოდ დაგვიანდა.

**— ირანში სად ითამაშებ, იქ პრობლემა არ შეგექმნება?**

— არ მგონია, ირანში ჩემი აყვანის მსურველი კლუბი არ გამოინახოს. არის ერთი რეალური ვარიანტი, თეირანთან ახლოს მდებარე ქალაქის გუნდია და ალბათ იქ ვითამაშებ.

**— როგორც ირანში წასულ ყველა ქართველს, შენც სპარსი აგენტი ამირი გაგიწევს მეურვეობას?**

— დიახ, ამირმა უნდა მომაწყოს გუნდში. ვფიქრობ, მას ამ საქმეში დიდი ჯაფა არ დაადგება და ორივე მხარე კმაყოფილი დავრჩებით.

**— მაგ გუნდში, შენ რომ მიდიხარ, ქართველი არ თამაშობს?**

— როგორ არა, მე რომ ჩავალ, ხომ ითამაშებს?! ისე კი, მართლაც ბევრი ჩვენიანია წასული და ისინი მოუთმენლად ელიან ჩემს ჩასვლას. თეირანში ქართველები უნდა დამხვდნენ, ზოგისთვის რას მატანენ აქედან და ზოგისთვის რას.

**— ირანი ისლამური, ფუნდამენტალური ქვეყანაა და იქ ცხოვრებისთვის თუ ხარ მზად?**

— თუ არ მომეწონება, ავდგები და უკან წამოვალ, მე შენ გეტყვი და, ვერ შეველევი ირანს.

**— ირანში წასვლით ევროპაზე ფიქრს შეეშვი?**

— ბოლო წუთამდე იმიტომ არ მინდოდა ირანში წასვლა, რომ წინ ვიყურებოდი და ამ ქვეყნის დაბალი რეპუტაციის გამო ევროპულ გუნდში გადასვლის შანსები მიმცირდებოდა. ირანში ბევრი უცხოელი თამაშობს და იქ ამერიკელებიც კი არიან, მაგრამ ევროპელთათვის აზია აზიაა, იქ ნათამაშებ კალათბურთელს გუნდში ძნელად თუ აიყვანენ. ამ მხრივ ცუდია, ირანში რომ მივდივარ, მაგრამ მეორეს მხრივ გამუდმებული ვარჯიშითა და დისციპლინის წყალობით ფორმაში შევალ, წონას დავიგდებ, ძალებს აღვიდგენ და მომავალი სეზონისთვის რომელიმე ევროპულ კლუბს მაინც მოვნახავ. თან დროც მექნება, ირანში 4-5 თვე გრძელდება ჩემპიონატი და გაზაფხულის დასაწყისში ალბათ უკვე თავისუფალი ვიქნები.

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲞᲔᲠᲢᲐᲘᲐ**



# ᲐᲛᲐᲗ ᲕᲘᲜᲚᲐ ᲓᲐᲔᲜᲔᲛᲐ?!

## ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲚᲔᲑᲡ ᲒᲐᲒᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲓᲐᲔᲛᲣᲨᲐᲠᲐ

calvià 2004 36th CHESS OLYMPIAD MALLORCA 14-31 Octubre 2004

ესპანურ კურორტქალაქ მალიორკაში 36-ე საჭადრაკო ოლიმპიადის მეხუთე ტური მიილია. ავად თუ კარგად, ქართველი ქალ-ვაჟებიც კუდში მიჰყვებიან ლიდერთა კოჰორტას, და იმედია, თანდათან წინაც წაიწევენ. ამას უფრო ვაჟებზე ვამბობთ, რომლებმაც ბოლო ორ ტურში აშკარად მოუკლეს და ცხრილში გათამადებულ უკრაინელებს საკმაოდ ჩამორჩნენ.



მაია ჩიბურდანიძე

გუშინ ჩვენმა ვაჟებმა მასპინძელ ესპანელებთან ერთქულიანი სხვაობით წააგეს — 1,5:2,5. ზედიზედ ორი გამარჯვების შემდეგ ზურაბ აზმაიფარაშვილმა რუსი ესპანელი ალექსეი შიროვის შემოტევებს ვერ გაუძლო, გიორგი ყაჭეიშვილიც უქულოდ დაგვირჩა, ხოლო ახალგაზრდა მერაბ გაგუნაშვილმა მასზე მაღალრეიტინგიანი ხულიენ არისმენდის ძლევით წაგება შეგვირბილა. ზვიად იზორია კი მოსაგები სიტუაციიდან ყაიმს გამორჩა და წავაგეთ. წავაგეთ, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ ესპანელები რეიტინგით (მე-7) ჩვენზე მაღლა დგანან.

ახლა ჩვენს ვაჟებს 12,5 ქულა აქვთ და მე-17-22 ადგილებს იყოფენ. ვასილი ივანჩუკის 16,5-ქულიან უკრაინა კი გუშინ ნახევარი ქულით ჩამორჩენილ ისრაელს ოთხივე დაფაზე ყაიმზე შეუთანხმდა. მესამე საფეხურზე კი 14,5-ქულიანი რუსეთია.

სამაგიეროდ, გაიმარჯვეს ჩვენმა მანდილოსნებმა, თუმც 26-ე რეიტინგოსან ლატვიელებთან 2:1 მოგება მადაზე მოსაყვანი ანგარიში ვერ არის — ჩემპიონობა თუ გვინდა, შედარებით სუსტ მეტოქეებთან ქულათა მაქსიმუმი უნდა ავიღოთ. კვლავ დამარცხდა მაია ლომინეიშვილი, რომელიც მალიორკას დაფებთან ჩვეულ თამაშს ვერ აჩვენებს. ნაკრების ლიდერმა მაია ჩიბურდანიძემ და ლელა ჯავახიშვილმა კი ლატიშ ქალებს შანსი არ დაუტოვეს.

ჩვენებს 10 ქულა მოუგროვდათ და მე-9-13 ადგილზე დამკვიდრდნენ. სიუ ჟუნით მოამაყე ჩინელებმა კი გუშინ ინგლისელები 3:0 გაანადგურეს. ისინი 14 ქულით თავზე დაჰყურებენ ცხრილს და (ჯერჯერობით) ისე ჩანს, ამათი დამწევი გუნდი ბალეარიის კუნძულებზე არ გამოჩნდება. აქვე, უკრაინულ-რუსულ ჯაბზეც ვთქვათ, სადაც სამივე პარტიაში ზავი დაიდო — 1,5:1,5.

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

**ᲕᲐᲟᲔᲑᲘ: V ᲢᲣᲠᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲔᲡ�პᲐᲜᲔᲗᲘ 1,5:2,5**

ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲖᲛᲐᲘᲤᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲐᲚᲔᲥᲡᲔᲘ ᲨᲘᲠᲝᲕᲘ 0:1
ᲒᲘᲝᲠᲒᲘ ᲧᲐᲭᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲤᲠᲐᲜᲪᲘᲡᲙᲝ ᲕᲐᲚᲔᲮᲝ 0:1
ᲖᲕᲘᲐᲓ ᲘᲖᲝᲠᲘᲐ — ᲠᲝᲑᲔᲠᲢᲝ ᲡᲘᲤᲣᲔᲜᲢᲔᲡᲘ 0,5:0,5
ᲛᲔᲠᲐᲑ �გᲐ�გᲣᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ — ᲮᲣᲚᲘᲔᲜ ᲐᲠᲘᲡᲛᲔᲜᲓᲘ 1:0

**ᲥᲐᲚᲔᲑᲘ. V ᲢᲣᲠᲘ**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ — ᲚᲐᲢᲕᲘᲐ 2:1**

ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ — ᲓᲐᲜᲐ ᲠᲔᲘᲖᲜᲘᲙᲘ 1:0
ᲚᲔᲚᲐ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲚᲐᲣᲠᲐ ᲠᲝᲒᲣᲚᲘ 1:0
ᲛᲐᲘᲐ ᲚᲝᲛᲘᲜᲔᲘᲨᲕᲘᲚᲘ — ᲘᲚᲖᲔ ᲑᲔᲠᲖᲘᲜᲐ 0:1



**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ XV ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ**

ᲞᲐᲢᲠᲘᲐ ᲯᲘᲜᲯᲘᲮᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

# ᲛᲔᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲛᲔ ᲐᲗᲘᲗ ᲝᲬᲧᲔᲑᲡ

**ᲧᲝᲕᲔᲚᲛᲮᲠᲘᲕ** სასიამოვნო ამბავია — უჩვეულოდ ადრე და მონაწილეთა არნახული რაოდენობით იწყება ვაჟ ხელბურთელთა საქართველოს ჩემპიონატი. რიგით მე-15 პირველობაში ჩაებმება ათი გუნდი, რომლებიც ორ ჯგუფად აჩიან დაყოფილები.

„ა“ **ᲯᲒᲣᲤᲘ**: საქართველოს 14-გზის ჩემპიონი ტექნიკური უნივერსიტეტის „შევარდენი“, ჯემალ ცერცვაძის სახელობის ხელბურთის სკოლის „ქარიშხალა“, ხელბურთის კლუბი „თბილისი“, „თელავი“ და „გორი“.

„ბ“ **ᲯᲒᲣᲤᲘ**: საქართველოს ვიცე-ჩემპიონი აგრარული უნივერსიტეტის „მამული“, „ქუთაისი“, ხელბურთის სკოლის ჭაბუკები (1988 წელს და უფრო გვიან დაბადებულები), „სამტრედია“ და „ბათუმი“.

ჩემპიონატი ოთხ წრედ ჩაივლის და გაისად მაისში დასრულდება. ორი წრის შემდეგ ექვსი საუკეთესო გუნდი ასევე ორ წრედ გააგრძელებს ბრძოლას ჩემპიონობისთვის, დანარჩენები VII-X ადგილებისთვის ითამაშებენ.

სასიამოვნო სიახლეა ისიც, რომ თბილისის გარდა დაგეგმილია თამაშების გამართვა თელავში, სამტრედიაში და ბათუმში.

ჩემპიონატის ჩატარებას ხელმძღვანელობს ხელბურთის ეროვნული ასოციაციის მიერ შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ამჟერადაც ზურაბ კაკაბაძე უძღვება.

გამარჯვებული გუნდი საჩემპიონო თასთან და მედლებთან ერთად 1000 ლარითაც დაჯილდოვდება. მეორე და მესამე პრიზიორი შესაბამისად 600 და 350 ლარს მიიღებს. დაწესებულია აგრეთვე პრიზები გამორჩეული მოთამაშეებისთვის.

დღეს თბილისში, არმიის სპორტული კლუბის დარბაზში ბრძოლას „ბ“-ჯგუფელები დაიწყებენ. მეორე ხუთეულმა 26 ოქტომბრიდან თელავში უნდა ითამაშოს.

**ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ**

**ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲙᲐᲚᲔᲜᲓᲐᲠᲘ**

| | | |
|---|---|---|
| **20 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | |
| ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | — ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ | 12.00 |
| *ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲜᲐ* | | |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | — ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ | 14.00 |
| **21 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | |
| ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ | — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | 12.00 |
| ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | — ᲡᲐᲣ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ | 14.00 |
| **22 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | |
| ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 12.00 |
| ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ | — ᲡᲐᲣ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ | 14.00 |
| **23 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | |
| ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ | — ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ | 12.00 |
| ᲡᲐᲣ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ | — ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ | 14.00 |
| **24 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ** | | |
| ᲡᲐᲣ-ᲛᲐᲛᲣᲚᲘ | — ᲡᲐᲛᲢᲠᲔᲓᲘᲐ | 14.00 |
| ᲭᲐᲑᲣᲙᲔᲑᲘ | — ᲑᲐᲗᲣᲛᲘ | 16.00 |

# უმსაჯლო ქვეყანას მსაჯებმა შეჰყეფეს

## კედელაშვილს ფინალში კედელი ამოუშენეს

*წაგების მსაჯზე გადაბრალება სპორტში ჩვეულებრივი ამბავია. ამით შეჯიბრის თუ იმ კონკრეტული შეხვედრის ვერმნახველ გულშემატკივარს აჯერებ, რომ ობიექტურობის შემთხვევაში შედეგიც უკეთესი იქნებოდა. თუმც უსამართლობა რომ მართლა ხდება და არც თუ იშვიათად, ოლიმპიურ თამაშებზე თავადაც ნახეთ. ამჯერადაც მსგავს შემთხვევასთან გვაქვს საქმე. 19 წლის ზაზა კედელაშვილმა მედლებით დახუნძლულ ქართული ძიუდოს ყულაბას თავისი წილი ვერცხლიც შემატა. არადა, რომ არა არაობიექტური მსაჯობა, ზაზა თბილისში ოქროთი, საქართველოს ნაკრები კი გუნდური პირველი ადგილით უნდა დაბრუნებულიყო. კედელაშვილისთვის ეს ბოლო ახალგაზრდული ტურნირი იყო. მომავალი წლიდან უფროსებში გადავა და ჯერ ძირითად ნაკრებში დამკვიდრებას, ხოლო მერე უფრო დიდი გამარჯვებების მოხვეჭას ეცდება*

ᲖᲐᲖᲐ ᲙᲔᲓᲔᲚᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

— მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველად ვიჭიდავე. ეს ჩემთვის ახალგაზრდებში ბოლო შანსი იყო და ჩემპიონობის გარდა არაფერზე ვფიქრობდი. ამის ერთ-ერთი უმთავრესი მეზეზი ისიც იყო, რომ ერთი თვის წინ ევროპის ჩემპიონატიდან უმედლოდ დაბრუნების მერე მწვრთნელები მაინც მენდნენ და მათთან ვალში ვიყავი.

**— ევროპაზე საბერძნეთის სახელით მოჭიდავე ტარიელ ციდირიდისმა დაგამარცხა. მასთან რევანშის აღება ბუდაპეშტში მოახერხე-**

— ამ მეოთხედფინალურ შეხვედრას ყველა ნაადრევ ფინალს უწოდებდა და პირდაპირაც გვეუბნებოდნენ, თქვენში გამარჯვებული ჩემპიონიაო. ციდირიდისთან ერთი თვის წინანდელის გამო რევანში უნდა ამეღო და უფრო მეტი შემართებით ვეჭიდავე. მოვუგე, მაგრამ ოქრო მაინც სხვას დარჩა.

**— მანამდე თუ შეხვედროდი იაპონელს?**

— არც მანამდე შევხვედრივარ და არც მსოფლიოზე მინახავს მისი ჭიდაობა. უბრალოდ, ფინალში ისე ვეჭიდავე, როგორც მითხრეს. აუცილებლად უნდა მომეგო, მაგრამ ისევ ძველმა ჭირმა — არაობიექტურმა მსაჯობამ იჩინა თავი. დაიწყო თუ არა ბრძოლა, პირველივე მისვლაზე სუფთა ვაზარზე დავაგდე. რატომღაც იუკო მაკმარეს, მერე იუკო კოკად შემიფასეს. ბოლოს კი ჩემს წამოწყებულ ილეთზე ისეთი იპონი აჩუქეს, ყველა აღშფოთდა. სხვა დელეგაციებზე რომ არაფერი ვთქვათ, თვითონ იაპონელებმა აღიარეს უხარისხო მსაჯობა. ტრიბუნებმა კი სტვენით გააცილეს არბიტრები.

**— სხვა ჩვენებურებიც ხომ არ დაიჩაგრნენ?**

— ქართველებს საერთაშორისო ტურნირებზე მსაჯი არ გვყავს და ამიტომაც გვჩაგრავენ. ჩემი შემთხვევა გამონაკლისი არ ყოფილა. რამდენიმე სასაცილო შეცდომა რომ არა, გუნდურ პირველობას ვერავინ შეგვეცილებოდა.

**— საბოლოოდ რომელ ადგილზე გავედით?**

— მეორეზე. გუნდური ჩემპიონი იაპონია გახდა. არადა, ფინალი რომ მომეგო, გუნდურსაც მოვიგებდით. ამის შესახებ ბრძოლის დაწყებამდე ვიცოდი. ვგრძნობდი დამატებით პასუხისმგებლობას და ბრძოლაში მთელი სული და გული ჩავაქსოვე, მაგრამ არ მომაგებინეს.

**— ყველაზე რთული ბრძოლა მაინც ციდირიდისთან გქონდა?**

— ყველაზე მეტად მეორე წრეში კანადელთან გამიჭირდა, ისიც იმიტომ, რომ გდებები არ შემიფასეს. მსაჯი ბერძენი იყო და ალბათ უნდოდა, ციდირიდისისთვის ავილებინე.

**— ლაშა გუჯეჯიანის შედეგებს თუ გადავავლებთ თვალს, საკმაოდ ადვილად მოუგია...**

— ლაშა მეტოქეებზე ერთი თავით მაღლა იდგა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მისნაირი გამოცდილი არავინ იყო. ახალგაზრდულში გამოსვლა მანაც დაასრულა.

**— ახალგაზრდულს მედლით გამოემშვიდობე, მაგრამ მთავარი ბრძოლები ახლა იწყება.**

— ძირითად ნაკრებში მოსახვედრად მართლა სერიოზული მუშაობა მომიწევს. 66 კილოგრამში კონკურენცია ყოველთვის გამორჩეული იყო და გამონაკლისი არც ახლაა. რამდენიმე ძლიერ სპორტსმენს შორის გამოკვეთილი, რა თქმა უნდა, დავით მარგოშვილია.

**— ნოემბერში საქართველოს ჩემპიონატი უნდა ჩატარდეს. აპირებ ჭიდაობას?**

— ჯერ ვერ გეტყვით. თუ პირველმა ნომრებმა უარი არ თქვეს, მეც აუცილებლად გავალ. აი, თბილისის ტრადიციულ ტურნირზე კი უეჭველად ვიჭიდავებ. მერე მოსკოვისა და პარიზის ტურნირები მოდის და ალბათ მაშინ გადაწყდება, ვინ წავა ევროპის ჩემპიონატზე.

**— ამ დღეებში ძიუდოს კლუბი „საგარეჯო“ შეიქმნა. შენც შემოგთავაზეს მასში გაწევრიანება?**

— ოფიციალურად ჯერ არავინ დამლაპარაკებია, ბიჭებმა კი, რა თქმა უნდა, ნახვისთანავე მითხრეს, გუნდში შენც ხარო. ეს ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა.

**— ბუდაპეშტიდან დაბრუნებული ალბათ ცოტა ხანს დაისვენებ.**

— მაქსიმუმ ერთი კვირით. ვარჯიშს ალბათ ორშაბათიდან გავაგრძელებ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# მთავარია ბეჭედი

## ოთხი კანდიდატი და ირაკლი მეძმარიაშვილი

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲙᲐᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ

ირაკლი მეძმარიაშვილი

2004 წელი ქართული სპორტის ისტორიაში ოქროს ასოებით უკვე ჩაიწერა. ათენში ჩვენმა ოლიმპიელებმა „ბრინჯაოს ხანა“ წარსულს ჩააბარეს და სამშობლოს ორი სანუკვარი ოქრო აჩუქეს.

ეს ისე, წინათქმად. 17 დეკემბერს კი საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია გაიმართება და ჯანო ბაგრატიონის შემცვლელიც გამოცხადდება. კანდიდატი ოთხია: სეოკ-ის ამჟამინდელი ვიცეპრეზიდენტი და ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი ბადრი პატარკაციშვილი, საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი ბეჟან ხურციძე, ფრენბურთის ფედერაციის თავკაცი ლევან ახვლედიანი და ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი რამაზ გოგლიძე.

აღნიშნული ოთხეული სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატობაზე შესაბამისმა ფედერაციებმა და სტრუქტურებმა წარადგინეს. რეგისტრაციის ბოლო ვადა კი 17 ოქტომბერს ამოიწურა, თუმც მოხდა ერთი კაზუსი: 16 ოქტომბერს განცხადება შეიტანა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილმაც, სადაც მითითებული იყო, რომ იგი სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატად კალათბურთის ფედერაციამ წარადგინა.

...როგორც აღმოჩნდა, კალათბურთის ფედერაციას და კერძოდ მის თავკაც ბესიკ ლიპარტელიანს ბატონი ირაკლის საპრეზიდენტო გეგმებზე არაფერი სმენია. გუშინ თავად ლიპარტელიანი მისულა სეოკ-ში და აღნიშნა, მეძმარიაშვილი არ წარგვიდგენიაო.

ეს ფაქტი ოლიმპიური კომიტეტის პრეს-ცენტრის სამსახურის უფროსმა კახა ბერიძემ დაადასტურა: „ირაკლი მეძმარიაშვილის კანდიდატურა, მეორე დღესვე მოიხსნა რეგისტრაციიდან. ჩვენ სეოკ-ის აღმასკომის წევრები მოვიწვიეთ და ერთობლივად გადაწყდა, რომ ბატონი ირაკლის კანდიდატურა ვერავითარი კანონით ვერ განიხილება. საქმე ისაა, რომ სეოკ-ის პრეზიდენტობის კანდიდატი რომელიმე სტრუქტურამ უნდა წარადგინოს და განცხადებას ოფიციალური ბლანკი უნდა ერტყას. ამისთანა კი ვერაფერი ვიპოვეთ. ბესიკ ლიპარტელიანი გაოცებული მოვიდა ჩვენთან, მეძმარიაშვილი არ წარგვიდგენიაო.“

**ᲘᲚᲘᲐ ᲜᲐᲜᲝᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

## საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის განცხადება

სეოკ-ის აღმასკომის 2004 წლის 30 ივნისის გადაწყვეტილების შესაბამისად, 2004 წლის 17 დეკემბერს ჩატარდება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო—საარჩევნო სესია.

სეოკ-ის წესდების მოთხოვნათა შესაბამისად, უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილ ვადებში (17 ოქტომბრამდე) შემოტანილი იქნა სეოკ-ის პრეზიდენტის პოსტზე ასარჩევ კანდიდატურებზე განცხადებები.

18 ოქტომბერს გამართულმა სეოკ-ის აღმასკომის სხდომამ რეგისტრაციაში გაატარა სეოკ-ის პრეზიდენტობის შემდეგი კანდიდატები:

1. ლევან ახვლედიანი — საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი. წარმოადგინა ფრენბურთის ფედერაციის აღმასკომმა.
2. ბადრი პატარკაციშვილი — სეოკ-ის ვიცეპრეზიდენტი, საქართველოს ოლიმპიური ფონდის პრეზიდენტი. წარმოადგინა სეოკ-ის აღმასკომმა.
3. ბეჟან ხურციძე — საქართველოს ნიჩბოსნობისა და კანოეს ფედერაციის პრეზიდენტი. წარმოადგინა ნიჩბოსნობის ფედერაციის აღმასკომმა.
4. რამაზ გოგლიძე — საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის პრეზიდენტი. წარმოადგინა ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის აღმასკომმა.

**მასტერსის სერია**
მადრიდი.
ხელოვნური ბალახი
საპრიზო
2,425 მილიონი ევრო

**პირველი წრე**

**ალბერტ კოსტა** (ესპანეთი) — **ირაკლი ლაბაძე** (საქართველო) 6:2, 5:7, 7:5; **ალექს კორეჩა** (ესპანეთი) — **დავიდ ფერერი** (ესპანეთი) 7:5, 6:1; **შტეფან კუბეკი** (ავსტრია) — **სხენგ შალკენი** (ჰოლანდია) 6:4, 6:4; **მარდი ფიში** (აშშ) — **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია) 0:6, 6:4, 6:4; **მაქს მირნი** (ბელარუსი) — **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) 6:3, 7:6 (7:3); **ანტონი დიუპუი** (საფრანგეთი) — **აგუსტინ კალეიერი** (არგენტინა) 6:4, 6:4; **რობინ სოდერლინგი** (შვედეთი) — **ფლორიან მაიერი** (გერმანია) 6:3, 7:6 (7:2); **ლუის ორნა** (პერუ) — **ჰიშამ არაზი** (მაროკო) 6:4, 7:5; **რობი ჯინეპრი** (აშშ) — **ხუან ლუის ტატი რასკონი** (ესპანეთი) 6:1, 6:4

# სექსიზმი ქარიზმის წილ

## ანუ როგორ ვაყურებინოთ ხალხს პაუზები

წლევანდელ მადრიდობას ქარიზმის კი ზორბა ნაწილი უკვე დაწყებამდე მოაკლდა — რეიტინგსიის ზესამეულმა (როჯერ ფედერერის, ენდი როდიკისა და ლეიტონ ჰიუიტის თამადობით) ესპანეთის სატახტოში ჩასვლა იუარა და მათი შესაძლო შეხლებისთვის დადარაჯებულ მილეთს ტურნირისადმი ინტერესი იმთავითვე გაუნელა.

ტურნირის საპირველდღეო მატჩების შემდეგ კი ჩოგბურთის ქართველ ქომაგთაგან უმრავლესს ეგებ საერთოდაც აღარ მოუნდეს მადრიდული ჩოგნაობის ცქერა — იქ მოსარჯე ერთადერთმა ჩვენიანმა ირაკლი ლაბაძემ 2002 წლის როლანგაროსობის ჩემპიონ ალბერტ კოსტას ფიცხელი ბრძოლა კი გაუმართა, მაგრამ საბოლოოდ მაინც იძლია. მაჯის ტრავმის გამო ბოლო თვეები რომ არ ეუქმა, ქართველს ვინძლო გამოცდილი მასპინძლის დაჯაბნაც მოჰხერხებოდა...

თუმცა გარეშე და ქართველ მოსეირესაც, ხოლო ამათზე მეტად საკუთრივ ტურნირის ორგანიზატორებს ნუგეშად და თვალის გასახარად 19-დან 28-წლამდელი მოდელები დაურჩნენ, რომლებიც სატელევიზიოდ განკუთვნილ შეხვედრებს ბურთის მიმწოდებელ გოგონებად მოემსახურებიან.




ამ გოგონებს იმ დღეს თქვენც იხილავდით, თუკი ლაბაძისა და კოსტას მატჩისთვის გიცქერიათ. ალბათ გაიოცებდით, როცა საამმამბოდ ჩვეულებისამებრ შეგულებული ყმაწვილების ნაცვლად უცრად შილიფად მოსილ სექსუალურ ნიამორებს იხილავდით.

ჰოდა, აწი ნუღარაფრის გაგიკვირდებათ — ტურნირზე მეტი ხალხისა და უფრო დიდი ტელეაუდიტორიის მისაზიდად ორგანიზატორებმა მომხიბლავ მოდელებთან კონტრაქტები გააფორმეს, ტურნირამდელი ორი კვირის განმავლობაში ჩოგბურთის ანაბანაში გაწაფეს და როგორც ამბობენ, კვირაში 1100-1100 დოლარს უხდიან. სწორედ ამიტომვეა, მატჩების ტრანსლიაციებისას ოპერატორები ბურთის მიმწოდებელ გოგონათა შილიფოსნობას საკუთრივ მეჩოგნეთა გარჯაზე არანაკლებ ყურადღებას რომ უთმობენ.

ჩვენ ამის საწინააღმდეგო ეგებ არც არაფერი გვქონდეს, პირუკუ, გათამაშებებს შორის პაუზები უფრო ხალისიანი საცქერიც კია. განსხვავებული აზრისანი არც ტრიბუნებზე მსხდომნი უნდა იყვნენ. თუმცა კორტსგარე მაინც აზრთა სხვადასხვაგვარობა სუფევს.

ასე მაგალითად, როგორც მავანი მემარცხენე მადრიდელი პოლიტიკოსი, ინეს საბანესი ამბობს, მოტიტვლებულ გოგონათა ამგვარი მიზნით გამოყენება „სექსისტური და ვულგარული" გართობაა. უკმაყოფილონი არიან ბურთის მომწოდებელ ყმაწვილთა მშობლებიც, რომლებიც თვლიან, რომ მათ შვილებს თავიანთ კერპებთან ერთ კორტზე ყოფნის ოცნებები წაუმურდლეს. თავად ბურთის მომწოდებელთა აზრით კი, ჩოგნაობისას ყურადღების ცენტრში მოთამაშეები უნდა იყვნენ და არა მოდელები.

და რას ამბობენ თავად მეჩოგნეები?

ალექს კორეჩა: „როცა კორტზე ხარ, ან ბურთს უყურებ ან შენ მწვრთნელს, ხოლო ის ამბავი, ბურთს ვინ გაწვდის, როგორღაც ნაკლებ გაინტერესებს."

ალბერტ კოსტა: „ამ გოგონებმა დღეს რიგიანად იმუშავეს, ამ თვალსაზრისით პირადად მე არავითარი განსხვავება არ მიგრძვნია. საერთოდ კი ეს ცუდი იდეა არ უნდა იყოს, რაკილა ეშხიანი გოგონები დაძაბულ საჩოგბურთო ატმოსფეროს მეტ ხალისს და მუღამს სძენენ."

**ლევან კელაურაძე**



# დოპინგიანი ცხენი ჭირში გაიპარა

ათენში ორი მედლის მოპოვება სიცოცხლის ფასად დაუჯდა... ცხენ როიალ კალიბერს. რამდენიმე დღის წინ აღმოჩნდა, რომ ცხენი დოპინგით გაუჭყეპავთ და დოზაც ნამეტანი მოსვლიათ.

როიალ კალიბერზე ამერიკელი კონკურისტი კრის კაპლერი დაჯირითობდა, რომელმაც პირად ჩათვლაში ბრინჯაო და გუნდურში ვერცხლი მოიპოვა. ოლიმპიადაზე გამოსვლის შემდეგ საბრალო ცხენს ჭვალის სახიფათო შეტევები დაეწყო, რასაც არასწორი კვება იწვევს. მაშინვე გამოაცხადეს, როიალ კალიბერი ათენში უნდა დავტოვოთ, თორემ საბერძნეთიდან აშშ-ში მგზავრობის დროს ხელში ჩაგვაკვდებაო. კაპლერს კი, ცხადია, ვერცხლ-ბრინჯაო შხამად შეარგეს...

ათენში ცხენს ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ მისი ჯანმრთელობა მაინც უკან-უკან წავიდა. ვეტერინარებმა მის გადარჩენაზე ხელი ჩაიქნიეს, დასაძინებელი წამლები მიაღებინეს და, როგორც იტყვიან, კეთილშობილი პირუტყვი ძილში გაეპარათ.

სხვათა შორის, აწ განსვენებულის გარდა, კიდევ 40 ეჭვმიტანილი ცხენი გასინჯეს, რომელთაგან ოთხის დოპინგ-ტესტმა დადებითი შედეგი აჩვენა.

მოკლედ, ოლიმპიადაზე გამარჯვებისთვის ყველაფერზე მიდიან, ცხენის კი არა, ადამიანის სიცოცხლესაც ბულდოზერივით გადაუვლიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ცხენოსანი იქნება უბრალოც იყოს — ახლა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სპეციალური კომისია როიალ კალიბერის დოპინგით გამჭყეპს, ანუ პირდაპირ მკვლელს ეძებს...

**ილია ნანოგაზვილი**



# ქართველებმა ამერიკელებს პიკნიკი არ შეარგეს

17 ოქტომბერს თბილისის იპოდრომზე ერთი საინტერესო მატჩი გაიმართა. საქართველოს კადეტთა ნაკრები ჩვენს ქვეყანაში მომუშავე ამერიკელებისგან შემდგარ ნაკრებს დაუპირისპირდა და 15:8 მოუგო. სპორტის სახეობას არ იკითხავთ? — ბეისბოლზე ვსაუბრობთ.

გაიხსენეთ ბოლოს როდის გსმენიათ იმის შესახებ, რომ საქართველოში ბეისბოლის ნაკრები არსებობს (ან თუ გსმენიათ საერთოდ ოდესმე). მითუმეტეს მოულოდნელია, როცა მათ წარმატებაზე გვიწევს წერა.

იპოდრომზე მოსულმა იანკებმა საგულშემატკივროდ ცოლ-შვილიც უხვად წამოასხეს, გასაბერი ლეიბებიც წამოიღეს, სურსათ-სანოვაგეც და ნამდვილი პიკნიკიც მოაწყვეს. არც ქართველებს გაუჭირდათ ქომაგის პოვნა, რომელთა შორის ყველაზე აქტიურები საქართველოს სოფტბოლის (ქალთა ბეისბოლი) ნაკრების გოგონები იყვნენ. საბოლოოდ იმდენი ხალხი შეიკრიბა, ეროვნული საფეხბურთო ჩემპიონატის მატჩს შეშურდებოდა.

თუკი რამეა ამერიკულ კულტურაში ისეთი, რითაც ისინი თავს იწონებენ მსოფლიოს წინაშე, პირველ რიგში კალათბურთი და ბეისბოლია, ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მატჩში იოლ გამარჯვებას ელოდნენ, თუმცა მიუხედავად ამისა ქართველებმა აშკარად აჯობეს მეტოქეს. წარმოიდგინეთ, 2 პიჩერი „ათხოვეს" კიდეც, მაგრამ მაინც გამარჯვებას მიაღწიეს.

ახლა ვინმემ რომ თქვას, რა მოხდა, მოყვარული „ბიძიების" ჭაბუკმა სპორტსმენებმა თუ აჯობესო, სადღაც მართალიც იქნება, მაგრამ ბეისბოლი ისეთი რამეა, ყველა ამერიკელის სულში რომ ზის, მოყვარულია ის თუ პროფესიონალი. აბა, ასეთი რამ წარმოიდგინეთ: საქართველოდან აშშ-ში ჩასულ ქალს იქაურმა დიასახლისმა საცივის კეთებაში რომ აჯობოს.

ამიტომაც იანკებმა იპოდრომზე ბევრი ოფლი ღვარეს და ალალად იბრძოდნენ გამარჯვებისათვის, თუმცა როგორც მოგახსენეთ, მაინც ჩვენებმა იჩაუქეს.

საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია 1988 წელს დაარსდა. მისი პრეზიდენტი ბატონი რამაზ გოგლიძეა. ამავე წლიდან სპორტის ეს სახეობა ოლიმპიურ თამაშებში იქნა შეტანილი. ჩვენმა ნაკრებმა 1997 წელს ევროპის პირველობაზე იუნიორთა შორის ვერცხლი მოიპოვეს, ერთი წლის შემდეგ კი ევროპის ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავეს.

საქართველოს სოფტბოლელთა ნაკრები

წარმატებულად შეიძლება ჩაითვალოს 11-12 წლის ჭაბუკთა შორის მოწყობილ ევროპის პირველობებზე ნაჩვენები შედეგებიც — 2001 წელს მეორე, 2003 წელს კი მესამე ადგილი.

მას შემდეგ ჩვენებს უსახსრობის გამო არსად უთამაშიათ, თუმცა როგორც ფედერაციაში გვპირდებიან, შესაბამისი დაფინანსების პირობებში 2012 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გასვლაც შეიძლება.

**ლადო ფულუკიძე**

REUTERS ბრაუნ დორიდან

# სპრეზიდენტოდ

REUTERS ჰიუსტონიდან

*ჯონ კერის კაი გვარიანად უცნაური კენწვლა სცოდნია. ამერიკაში, გამოლმური სოკერი გოგონათა უპირველესი გატაცებაა და პრეზიდენტობის კანდიდატიც ვისკონსინში საარჩევნო მოგზაურობისას ბურთს შეთამაშებია. მისი კონკურენტის დედ-მამა კი, ჯორჯ-უფროსი და ბარბარა ჰიუსტონში ბეისბოლის მატჩს დასწრებიან. იქვე ყოფილა ოლიმპიური ჩემპიონი მერი ლუ რეტონიც.*

# კვლავ გზისპირის ვარსკვლავები

*ორიოდ დღის წინ მოგახსენეთ, რომ გვატემალელ მეძავთა გუნდი „გზისპირის ვარსკვლავები“, ქვეყნის ქალთა ჩემპიონატიდან მოხსნეს თავიანთი პროფესიის გამო. გოგოებმა გადაწყვიტეს, თავიანთი ამბავი მსოფლიოსთვის მოედოთ და გაზეთების პირველ გვერდებზეც გამოჩნდნენ. ისინი დიდი და მინი ფეხბურთის მატჩების სერიას მართავენ და პროფკავშირის ჩამოყალიბებასაც აპირებენ. გვატემალაში მეძავობა ლეგალურია, თუმცა „გზისპირის ვარსკვლავები“ ყველაზე იაფი მეძავები არიან ქვეყანაში და გასამრჯელოდ, 2,5 დოლარს იღებენ.*

REUTERS გვატემალიდან

# კოცნა გამარჯვებულს

REUTERS კიოლუა-კონგიდან

*ეს-ესაა, გულმხნელ ნორმან სტადლერი მსოფლიოს ჩემპიონი შეიქნა ტრიატლონში. მალაიზიაში დასრულებულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ცურვის, სირბილის და ველორბოლის ერთობლიობაში ნორმანმა საუკეთესო დრო უჩვენა და მიჯნური სარაც ჩაიხუტა.*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მაიამი ბაზაზე

REUTERS ტამპიდან

*„შაკ დილის“ საჰაერო ბაზას სწვევია „მაიამი ჰითის“ კალათბურთელთა გუნდი. ეს გუნდის კეთილი ნების ამბავია: ჯარისკაცებთან ამხანაგობა და შაყილ ონილსაც დაუნანებლად გაუცია ღიმილი და ავტოგრაფები.*


სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროჯალიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგ-რაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge